კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამა

ნინო ლომსაძე

აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ფარგლებში არსებული დაპირისპირებისა და თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკა ჩიტაძე

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2020

ანოტაცია

დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და ჩინეთის, როგორც ჰეგემონის და აღმასვლის გზაზე მთავარი სახელმწიფოს ურთიერთობებს. იდეოლოგიური თუ გეოპოლიტიკური უთანხმოების ფონზე განვითარებულ ურთიერთობებს, საყურადღებო გავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. სახელმწიფოთა კომპლექსურ ურთიერთობებში ისტორიის მანძილზე ვლინდებოდა რიგი დაპირისპირებების და თანამშრომლობის ასპექტები, თუმცა ყოველთვის მათი ურთიერთობების გარემო კონკურენტულობით ხასიათდებოდა.

ამერიკისთვის საფრთხედ აღიქმება ჩინეთის პრეტენზია გახდეს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. საფრთხის შემცველია ჩინეთის სამხედრო პოტენციალის ზრდა, აღმოსავლეთში პოზიციების გამყარება და მსოფლიოში პირველი მზარდი ეკონომიკა. შტატების ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანა კიდევ დიდი ხნით იქნება მოწინავე პოზიციებზე მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ისეთი სახელმწიფო, როგორიცაა ჩინეთი, შესაძლოა გახდეს ამერიკის მთავარი კონკურენტი სახელმწიფო, როგორც აღმოსავლეთში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ჩინეთის მზარდი ეკონომიკის წყალობით, მან უკვე მოიპოვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენა აღმოსავლეთში და თუ ამ ტემპით განაგრძობს ეკონომიკურ აღმავლობას, ამერიკის პოზიციების სიმყარე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ბევრი სვამს საკითხს, რომ ჩინეთი შესაძლოა გახდეს მომავალი დიდი სახელმწიფო. ამიტომ საინტერესო მოვლენები ვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობების ფარგლებში. როგორ წარიმართება აშშ-ჩინეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს არსებულ საერთაშორისო სისტემაზე და მსოფლიო ეკონომიკაზე.

Key aspects of the confrontation and cooperation within US-China relations

Annotation

In the current international situation, the relations between the United States and China are of great importance. Relationships developed against the background of ideological or geopolitical disagreements can have a significant impact on the ongoing processes in the world. In the complex relations of states, aspects of controversy and cooperation have been revealed throughout history.

China's claim to be the most powerful state is perceived as a threat to America. The growth of China's military potential, the strengthening of its position in the East and the world's first growing economy are dangerous for America. Given the economic and military situation in the United States, the country will be at the forefront of the world for a long time, however, a state like China may become the main challenger of America. Thanks to China's growing economy, it has already gained political and economic influence in the East, and if it continues to grow at this rate, the strength of US positions will be called into question.

Many are asking whether China will be able to become the next superpower. So interesting developments are taking place in the relations between the two countries, which in turn affects the existing international system.

Nino Lomsadze

სარჩევი

ანოტაცია..... 2

Annotation……..……... 3

შესავალი..... 5

I თავი. აშშ-ს გლობალური გეოპოლიტიკური კოდი 13

II თავი. ჩინეთის გეოპოლიტიკური როლი თანამედროვე მსოფლიოში ..24

III თავი. აშშ-ჩინეთის ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპები.....38

3.1 აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები 1949 წ-დან თანამედროვე ეტაპამდე 39

3.2 აშშ-ჩინეთის ურთიერთობების განვითარება თანამედროვე ეტაპზე 45

3.2.1 ორმხრივი თანამშრომლობის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები.....47

3.2.2 ორმხრივი თანამშრომლობის ეკონომიკური ასპექტები სავაჭრო ურთიერთობების მაგალითზე 54

3.2.3 კორონა ვირუსის გეოპოლიტიკა და აშშ-ჩინეთის ახალი „ცივი ომი“ 59

დასკვნა 63

გამოყენებული ლიტერატურა.....68

შესავალი

აშშ და ჩინეთი, მსოფლიოს ორი უძლიერესი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქტორები არიან, შესაბამისად მათი ურთიერთობების ფორმა, რასაკვირველია ვერ დარჩება მსოფლიოს ყურადღების მიღმა. აშშ არის სახელმწიფო, რომელიც ატარებს ლიდერი, დიდი სახელმწიფოს სტატუსს და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებში. ჩინეთი, როგორც აღზევების გზაზე მდგარი სახელმწიფო, საკუთარი მნიშვნელოვანი ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო წარმატებების გათვალისწინებით, შესაძლოა გახდეს ქვეყანა, რომელიც ამერიკას ჩამოართმევს დომინანტობას მსოფლიო პოლიტიკაში. ამერიკის მთავრობა, საკუთარ პოლიტიკურ კურსს ხშირად ცვლიდა ჩინეთთან მიმართებაში. შესაბამისად ორი ქვეყნის ურთიერთობები, ურთიერთობის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, სხვადასხვა თავისებურებებით ხასიათდება. მათი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები ცხადად აისახება საერთაშორისო სისტემაზე და გარკვეულ რელსებზე აყენებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

თემის აქტუალობა-დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის გვერდით გაჩნდა ჰეგემონობის მსურველი ქვეყანა-ჩინეთი. არსებობს მზარდი კონკურენცია, როგორც ეკონომიკური ისე იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური მიმართულებით. განსხვავდება ერთმანეთისაგან აშშ-ს და ჩინეთის 21-ე საუკუნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მიზანია დემოკრატიის გავრცელება სხვადასხვა რეგიონში, ხოლო ჩინეთის უსაფრთხოების სტრატეგიაში გაწერილია, რომ მთავარი პრიორიტეტი ენიჭება ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ჩინეთი უნდა გახდეს ყველაზე ძლიერი ქვეყანა 2049 წელს. ამერიკის ჰეგემონობისთვის მნიშვნელოვანია ევრაზიის

რეგიონი, ხოლო ჩინეთი სწრაფად ყალიბდება რეგიონულ ლიდერად, რაც ამერიკისთვის საფრთხის შემცველია. იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად ორივე ქვეყანა აცნობიერებს თანამშრომლობის მნიშვნელობას, ხოლო მეორეს მხრივ ამ თანამშრომლობის გზაზე მაინც არსებობდა და არსებობს მრავალი წინააღმდეგობა. აქვე უნდა ვახსენოთ ჩინეთის მზარდი ეკონომიკა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ჩინეთი მალე გადაუსწრებს აშშ-ს მშპ-ის მოცულობით. ეს ყველაფერი რასაკვირველია აშშ-სთვის ნაკლებმიმზიდველია, რის გამოც მათ შორის კონკურენცია იზრდება და გარკვეული ბერკეტების ამოქმედებით ორივე სახელმწიფო ცდილობს მოწინავე პოზიციის დაკავებას. ეს ყოველივე დიდ გავლენას ახდენს არსებული საერთაშორისო სისტემის თავისებურებაზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების ანალიზი;

აშშ-ჩინეთის ურთიერთობის გათვალისწინებით შექმნილი ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრა, რა შეიძლება ეწოდოს წესრიგს, რომელიც მათი ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე ყალიბდება;

ორი ძლიერი, კონკურენტი სახელმწიფოს ურთიერთობის გავლენის ანალიზი მსოფლიოზე, არსებულ სისტემაზე და საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ვითარებაზე.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს აშშ-ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა;

ორ ქვეყანას შორის არსებული ძირითადი კონფრონტაციისა და თანამშრომლობის საკითხების განხილვა;

გეოპოლიტიკური უთანხმოების ძირითადი ასპექტების ანალიზი;

აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში ჰეგემონობის მოპოვება-შენარჩუნების თვალსაზრისით გამოვლენილი კონკურენციის ანალიზი.

საკვლევი კითხვები:

- დღევანდელი მსოფლიო უფრო მულტიპოლარულია ,თუ არსებობს რბილი უნიპოლარული სისტემა,სადაც აშშ ინარჩუნებს სუპერსახელმწიფოს პოზიციას ?
- აშშ ჩინეთის ურთიერთობებში უფრო მეტი წინააღმდეგობები იკვეთება თუ ინტერესთა თანხვედრა და რა ასახვას ჰპოვებს აღნიშნული არსებულ საერთაშორისო სისტემაზე?
- აშშ-ჩინეთს შორის არსებული სავაჭრო ომი რამდენად შეამცირებს მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას ?
- რა სპეციფიკით ხასიათდება ნატოსა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ურთიერთობები და რა გავლენა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე?

ჰიპოთეზა.

H (1) უნიპოლარული სამყარო, სადაც ამერიკა იყო ჰეგემონი სახელმწიფო, დღეს ჩინეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური პოზიციების გათვალისწინებით კარგავს უნიპოლარულ სახეს და მიდის მულტიპოლარულობისკენ, სადაც ჩინეთი აშშ-ს მთავარ კონკურენტ სახელმწიფოდ გვევლინება.

H (2) აშშ-ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობები დიდად ზემოქმედებს მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათის ფორმირებაზე. არსებული უთანხმოებების მიუხედავად, მათი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, როგორც ორივე სახელმწიფოსთვის, ასევე საერთაშორისო სისტემაში სტაბილური გარემოს უზრუნველსაყოფად.

კვლევის საგანს წარმოადგენს აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ასევე მათ ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობანი და ინტერესთა თანხვედრები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს აშშ-ჩინეთის ურთიერთობების როლი და გავლენა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებასა და არსებულ საერთაშორისო სისტემაზე.

მეთოდოლოგია- თემის დამუშავებისას გამოყენებულია:

„პოლიტიკური რეალიზმის“ კონცეფცია, სადაც საუბარია სახელმწიფოთა ბრძოლაზე ძალაუფლებისთვის,რომ მთავარი მამოძრავებელი ძალა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორებისთვის, არის ეროვნული ინტერესები. პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი პრინციპი არის ძალთა ბალანსი. თითოეული სახელმწიფო ცდილობს უპირატესობის მოპოვებას და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას.

„კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია“, რომელიც ჩამოაყალიბეს ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კიოჰანმა და სადაც ნაჩვენებია, რომ იდეოლოგიური თუ პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად სახელმწიფოები მაინც ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულნი არიან რიგი ასპექტებით. მიმდინარეობს ურთიერთობები ადამიანებსა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის სახელმწიფოს ჩაურევლად და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. აღნიშნული თეორია რეალიზმისაგან განსხვავებით ხედავს გაცილებით მშვიდობიან და უსაფრთხო მსოფლიოს.

გეოპოლიტიკური კონცეფციები:

„ატლანტიზმი“-ერთი მხრივ დასავლური ცივილიზაცია, ამერიკა, ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც სამხედრო-სტრატეგიული გაგებით ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან.ზღვის ძალა, საიდანაც ცივილიზაცია შევიდა კონტინენტურ მატერიკზე.

„ევრაზიანიზმი“-მეორე მხრივ ევრაზიული მატერიკი, სადაც განსაკუთრებული მდებარეობა აქვს რუსეთს, თუმცა მასთან ერთად უკვე მოიზრება რიგი სახელმწიფოები, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი...იგივე ხმელეთის ძალა.

„რიმლენდი“-ცივილიზაციის განვითარების პრიორიტეტული არეალი. სფაიქმენმა განავითარა მაკინდერის მიდგომა და ჩამოაყალიბა ცნობილი თეზისი „ის ვინც ბატონობს „რიმლენდზე“, ბატონობს მსოფლიოზე“. რიმლენდის პრინციპი გამოვიყენეთ ჩინეთთან და სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონთან მიმართებაში.

გამოვიყენეთ ჯოზეფ ნაის **„რბილი ძალის“** კონცეფციას, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის მარტივი საშუალება. აღნიშნული მიდგომა იძულებისა და ზეწოლის გამოყენების ნაცვლად აქცენტს აკეთებს მიმზიდველობის და თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედებაზე. ყურადღება ექცევა ინტელექტუალური რესურსებისა და მეთოდების აქტიურ გამოყენებას.

კვლევის მეთოდები- ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის თვისობრივი მეთოდები: ისტორიულ-აღწერილობითი, თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა; კონტენტ-ანალიზი; სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და დამუშავება; ინტერდისციპლინარული მეთოდი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა- სამაგისტრო ნაშრომი საინტერესოა პირთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო ურთერთობებში მიმდინარე სიახლეებითა და ცვლილებებით აშშ - ჩინეთის ურთიერთობების ფონზე. ასევე იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საკუთარ ნაშრომს უძღვნიან ამერიკის ან ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ან რომლებსაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა ამ მიმართულებით.

კვლევის შედეგების განხილვა- ნაშრომში გამოიკვეთა ჩინეთსა და ამერიკას შორის არსებული ძირითადი ინტერესთა თანხვედრები და უთანხმოებები, ასევე ის მთავარი ბერკეტები, რომლის წყალობითაც ჩინეთს სურს გახდეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, პირველ რიგში ეკონომიკური თვალსაზრისით. ასევე ფაქტი, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მსოფლიო სისტემაზე, მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებაზე დიდად ზემოქმედებს. ხაზი გაესვა იმ ძირითად საერთო საფრთხეებს, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც ეს სახელმწიფოები თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა- ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ არაერთი ქართული თუ უცხოენოვანი ლიტერატურა. გამომდინარე საკითხის კომპლექსურობიდან, საჭიროა სხვადასხვა წყაროების დამუშავება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. კვლევის პროცესში დიდად დაგვეხმარა:

ბჟეზინსკი ზბ. „დიდი საჭადრაკო დაფა“. გამომცემლობა: „არტანუჯი“, თბილისი-2014.

„დიდი საჭადრაკო დაფა“ , ანუ აშშ-ს ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები,რომელიც გამოქვეყნდა 1997 წელს, პოპულარობა უმალ მოიპოვა. კლასიკოსი პოლიტოლოგის ნაშრომში საუბარია ამერიკის გეოპოლიტიკურ პოზიციებზე ევროპაში და ასევე იმ შესაძლო კოალიციურ ერთობებზე, რომლებმაც შესაძლოა მეტოქეობა გაუწიოს აშშ-ს. საუბარია იმ გეოპოლიტიკურ სვლებზე, რომელთა საშუალებითაც ამერიკამ უნდა შეძლოს ევრაზიის „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ დიდხანს ყოფნა და პოზიციების შენარჩუნება. ავტორი აზიაში მნიშვნელოვან ფიგურებად მიიჩნევს იაპონიას და ჩინეთს. მნიშვნელოვანი მოსაზრება აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთს შეუძლია ევრაზიაში ისეთი გეოპოლიტიკური სვლების გაკეთება, რაც აშშ-ს ინტერესებსაც პასუხობს, კერძოდ ეს ეხება რუსეთის გაფართოებული ინტერესების შეზღუდვას. საუბრობს ასევე იმაზეც, რომ ჩინეთი ვერ შეძლებს ჩამოაქვეითოს აშშ იმ პოზიციიდან, რომელსაც ის „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ იკავებს.

ჯენტლესონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი-2015.

ავტორი საუბრობს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულების განმაპირობებელი ძირითადი ასპექტებსა და ამერიკის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებზე დროის ფართო ჭრილში. საუბარია ამერიკის ეროვნული ინტერესების მთავარ ამოსავალ ასპექტებზე. ავტორი განიხილავს აზიის რეგიონს, ამერიკის ურთიერთობებს აზიის მნიშვნელოვან და ძლიერ სახელმწიფოებთან. აქცენტები კეთდება თანამშრომლობაზე, კონფრონტაციასა და კონკურენციაზე,

ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროზე, ისევე როგორც ტაივანსა და სამხედრო საკითხებზე.

ასევე ავტორს განხილული აქვს ჩინეთის ადგილი და ჩინეთის ფაქტორი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, როგორც მნიშვნელოვანი აზიური სახელმწიფოს, რამაც ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია.

ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“. გამომცემლობა: „უნივერსალი“ , თბილისი-2011.

ლიტერატურაში კარგადაა განხილული გეოპოლიტიკის ცნების არსი და გეოპოლიტიკური თეორიები. ავტორი აღწერს გეოპოლიტიკის განვითარების ისტორიას. წიგნში განხილულია გეოპოლიტიკური სკოლები და მათი გეოპოლიტიკური შეხედულებები. საუბრობს საზღვაო და სახმელეთო მმართველობების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც ნაშრომში გვაქვს გამოყენებული. ავტორი გვეხმარება იმ ძირითადი გეოპოლიტიკური კონცეფციების გაგებასა და გამოყენებაში, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ს და ჩინეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრასა და ანალიზში. ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლობალიზაციას და მსოფლიო წესრიგს, სადაც მოიაზრება მსოფლიო ეკონომიკური სივრცე და ძალთა ბალანსიც. საუბარია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, მათ შორის ამერიკისა და ჩინეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე.

ფიფია ნ. „ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი“. საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი, თბილისი-2019.

აღნიშნული ნაშრომის წყალობით, ცხადად შეგვიძლია გავაკეთოთ სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მათ საგარეო პოლიტიკაში. ავტორი საუბრობს სავაჭრო ომის დაწყების წინაპირობებზე და მოვლენების თანმიმდევრულ განვითარებაზე. გამოკვეთილია აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და თანმიმდევრული საპასუხო სატარიფო კონფრონტაცია. ბერკეტების ამოქმედება ურთიერთსაპასუხო ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმის პირობებში. ნაშრომში

ჩანს „სავაჭრო ომის“ მნიშვნელობა არამხოლოდ ორი მოცემული სახელმწიფოსთვის, არამედ მსოფლიო ეკონომიკისთვის.

აკობია ე. „საერთაშორისო ურთიერთობები“. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი-2006.

ავტორი საუბრობს საერთაშორიო ურთიერთობების თეორიებზე, როგორებიცაა რეალიზმი, იდეალიზმი, კონსტრუქტივიზმი და სხვა. საუბარია სხვადასხვა თეორიულ კონცეფციებზე და მათ ჭრილში კეთდება საერთაშორისო სისტემის ანალიზი. ავტორი საუბრობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჩამოყალიბებაზე და დებატებზე, ასევე განხილული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა გლობალიზაცია და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა. ლიტერატურა გვეხმარება „პოლიტიკური რეალიზმისა“ და „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების“ თეორიების კარგად გაგებაში, რომელიც ნაშრომში გვაქვს გამოყენებული გარკვეული პროცესების ანალიზისთვის, კერძოდ აშშ-ჩინეთის ურთიერთობების თავისებურებანის ასახსნელად და გასააზრებლად.

I თავი. აშშ-ს გლობალური გეოპოლიტიკური კოდი

ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც მსოფლიოს უპირობო ლიდერს, მე-20 საუკუნის ბოლოდან მტკიცედ უჭირავს აღმასვლის კურსი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიო სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც გამოკვეთილმა ძირითადმა ძალის პოლუსებმა, დათმეს ლიდერი სახელმწიფოების პოზიციები და დაკარგეს შესაბამისი ფუნქციები, დარჩა მხოლოდ ორი ძლიერი დიდი სახელმწიფო, ამერიკის და საბჭოთა კავშირის სახით. შესაბამისად მსოფლიო გახდა ორპოლუსიანი, იგივე ბიპოლარული. პოლუსებს შორის არსებული იდეოლოგიური თუ გეოპოლიტიკური დაპირისპირებებისა და უთანხმოებების გათვალისწინებით, მსოფლიოში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური სურათი, რომელმაც 45 წელი გასტანა და ოფიციალურად დასრულდა 1991 წელს. თუმცა მეორე საკითხია რამდენად რეალურად დასრულდა დაპირისპირება-„ცივი ომი“.

აშშ, საკუთარ საგარეო პოლიტიკას წარმართავდა გეოპოლიტიკური მიზნებისა და ხედვების შესაბამისად, აღნიშნული მიზნები, რასაკვირველია გამომდინარეობდა ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან. აქ იკვეთება ქვეყნის პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი-**გეოპოლიტიკური კოდი.** თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი გეოპოლიტიკური კოდი, რომელიც გარკვეულწილად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის განმსაზღვრელიც კი. როდესაც საქმე გვაქვს დიდ სახელმწიფოებთან, მათი გეოპოლიტიკური კოდი გავლენას ახდენს პატარა სახელმწიფოებზე და უბიძგებს ან აიძულებს მათ, რომ ფეხი აუწყონ და აჰყვნენ დადგენილ „თამაშის წესებს“. გეოპოლიტიკური კოდები ხშირ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებაში მოდის, რის გამოც თავს იჩენს ფარული თუ ღია სახელმწიფოებრივი კონფლიქტი, უთანხმოება და დაპირისპირება.

იმის მიხედვის, თუ როგორია ქვეყნის სიდიდე და სიძლიერე, სახელმწიფოს გეოპოლიტიკური კოდი შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული და გლობალური.

ლოკალური, რასაკვირველია გულისხმობს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საწყის პრიორიტეტებს, როგორიცაა სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. **რეგიონულ** დონეზე ქვეყანა ცდილობს საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური გავლენის გაზრდას და რეგიონში ჰეგემონის პოზიციის დაკავებას. რაც შეეხება **გლობალურ** დონეზე გეოპოლიტიკურ კოდს, აქ საუბარი შეიძლება რამდენიმე სახელმწიფოზე, რომელთა შესაძლებლობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანას ჰქონდეს მსოფლიო დონის ამბიციები და მსოფლიო ლიდერის პოზიციის დაკავების პრეტენზია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომის პერიოდში, ასეთი ჰეგემონობის მსურველი სახელმწიფოები გახდნენ აშშ და საბჭოთა კავშირი. ჩვენ საუბარი გვექნება, სწორედ ამერიკის გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდზე, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო და შეუძლია მსოფლიო სისტემასა და მსოფლიო წესრიგზე. მაშინ, როდესაც კომუნიზმის გავრცელების ფართო რეალიზაციის საფთხე აშკარა იყო, ასევე აშკარა იყო ისეთი ძალის არსებობა, რომელიც წინ აღუდგებოდა საბჭოთა მსვლელობებს, ასეთი სახელმწიფო კი ამერიკა იყო, რომელსაც შეეძლო საბჭოთა კავშირისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მან საკუთარ თავზე აიღო კიდეც აღნიშნული მისია. აშშ-ს გეოპოლიტიკურ მიზნებში სწორედ საბჭოთა კავშირის დამარცხება იდგა პირველ ადგილზე.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება დაკავშირებულია **მონროს დოქტრინასთან**, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში, რომელიც შეიმუშავე ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ. აღნიშნული დოქტრინის მთავარი არსი მდგომარეობდა ევროპის საქმეებში ჩაურევლობაში,თუმცა საპასუხოდ ევროპასაც იგივე უნდა გაეკეთებინა. აშშ არ მისცემდა უფლებას ევროპელებს, რომ ჩარეულიყვნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის საქმეებში. ეს მიდგომა გამოიხატებოდა ფორმულით : **„ამერიკა ამერიკელებისთვის“** . ფორმულის შინაარსი გულისხმობდა, რომ ლათინური ამერიკა, ისევე როგორც ამერიკის მთელი

კონტინენტი, ამერიკის გავლენის სფეროა და ევროპელებს არ ეხებათ. ფორმულა ასევე გულისხმობს, რომ თავის მხრივ ამერიკასაც არ აინტერესებს რა ხდება ევროპაში და შესაბამისად არც ჩაერევა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ქვეყანა ატარებდა იზოლაციონიზმის პოლიტიკას და იზოლირებული იყო მსოფლიოში მიმდინარე მთავარი პოლიტიკური მოვლენებისაგან. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის ასი წელიწადი, პირველ მსოფლიო ომამდე, როდესაც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის წყალობით დაირღვა იზოლაციონიზმის დამკვიდრებული ტრადიცია და ქვეყანა ჩაება მსოფლიო ომში. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო რწმენით, რომ ამერიკის ომში ჩაბმა მნიშვნელოვანი იყო ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვებისთვის და საერთაშორისო ვითარების დასტაბილურებისთვის. შესაბამისად აქ ამერიკის საკუთარი გლობალური გეოპოლიტიკური კოდი გამოიკვეთა, როგორც ლიდერი სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მშვიდობის გამყარებაში. ეს რწმენა ჰქონდა უილსონს, როდესაც შეიმუშავა ცნობილი 14 პუნქტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ერთა ლიგის, მსოფლიო მთავრობის ფუნქციის მატარებელი ორგანიზაციის, შექმნის იდეა. ერთა ლიგა შეიქმნა, თუმცა კონგრესმა არ დაუჭირა მხარი პრეზიდენტის იდეას და აშშ არ გახდა აღნიშნული ორგანიზაციის წევრი. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ აშშ დააბრუნა ისევ იზოლაციონიზმის პოლიტიკური კურსისკენ.

მეორე მსოფლიო ომმა კვლავ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ნეიტრალიტეტი დაირღვა პერლ-ჰარბოლის ინციდენტის შემდეგ. ამერიკა ჩაება ომში და მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად კვლავ საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა დაიწყო. ამის შემდეგ ამერიკა გვევლინება საერთაშორისო სისტემის მთავარ არქიტექტორად, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომ განვითარებული მოვლენების ფორმირებაში. ცხადი იყო, რომ ამერიკა ვეღარ შეძლებდა ჩვეული იზოლაციონიზმის კურსის გაყოლას იმის ფონზე, რაც საბჭოთა კავშირის წყალობით მსოფლიოს

ემუქრებოდა. საბჭოთა კავშირს გაუჩნდა ძალზედ დიდი ამბიციები, რომელსაც ამერიკა ვერ შეეგუებოდა. გავრცელებული კომუნიზმის წყალობით, ევროპა ორად გაიყო დაშვებული **„რკინის ფარდით“**. რასაკვირველია, ამერიკა ვერ დაუშვებდა საბჭოთა ბატონობას მსოფლიოზე და მივიღეთ **„ცივი ომი“**, რომლის ფარგლებშიც იწყება დაპირისპირება ლიდერის პოზიციის დასაკავებლად. დროულია, ვახსენოთ **„ტრუმენის დოქტრინა“**, 1947 წელს გაცხადებული, რომელიც ითვალისწინებდა ომისაგან დასუსტებული და გაპარტახებული პატარა სახელმწიფოების დახმარებას და საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებას. ტრუმენმა ამით ჩამოაყალიბა ამერიკის ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, **„შეკავების პოლიტიკა“**. დოქტრინა გულისხმობდა თავისუფალი ერების დახმარებას, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის, იმისათვის, რომ ერებს თავი დაეცვათ კომუნიზმისაგან,ამერიკამ მრავალმილიარდიანი დახმარება გაუწია დასავლეთ ევროპის სახელმწიფობს სწრაფი რეაბილიტაციისთვის და ძალების აღდგენისთვის. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო **„მარშალის გეგმა“** და **ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის** შექმნა. სამხედრო და ეკონომიკური ინსტიტუტები, რომელსაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ საბჭოეთისთვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში.

„მარშალის გეგმის“ მთავარი მიზანი იყო, ომის შედეგად განადგურებული ევროპის დახმარება,თუმცა ამავე გეგმამ საბოლოოდ გაავლო ხაზი „ცივი ომის“ საბრძოლო ფრონტზე. მსოფლიო ცხადად დაიყო ორ ბანაკად: კაპიტალისტურ სამყაროდ, რომელსაც სათავეში ედგა აშშ და სოციალისტურ ბანაკად, რომელსაც რა თქმა უნდა ლიდერობდა „საბჭოთა კავშირი“. დაპირისპირება სამხედრო კუთხითაც წარიმართა შესაბამისი სამხედრო ბლოკების შექმის სახით, **„ნატო“,** რომელიც შეიქმნა 1949 წელს აშშ-ს მეთაურობით და **„ვარშავის პაქტი“**, 1955 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებული.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკამ გააცნობიერა რა კომუნიზმისგან მომდინარე საფრთხე, საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა

დაეცვა თავისუფალი სამყარო საბჭოთა ექსპანსიისაგან და დაეკავებინა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნის პოზიცია. ახალმა შექმნილმა ბიპოლარულმა სამყარომ საბოლოოდ დაასამარა ამერიკის იზოლაციონისტური პოლიტიკა.

ამერიკის გლობალური გეოპოლიტიკური კოდი „ცივი ომის“ საწყის ეტაპზე ხასიათდებოდა **„შეჩერების პოლიტიკით“**, რომლის მთავარი მიზანი იყო დაეცვა დანარჩენი თავისუფალი სამყარო „საბჭოთა კავშირისგან“. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ამ პოლიტიკას ეწოდება **„ჰართლენდის ნეიტრალიზაცია“**[1] , რომელშიც მოიაზრება მთელი სოციალისტური სამყარო, რომელიც გარშემორტყმულია სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებით, ნატო, აზპაკი, სენტო, ანზიუსი, სეატო და სხვები, რომლებიც კომუნიზმის შეჩერებას საკუთარ თავზე იღებდნენ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა დომინოს პრინციპით მსჯელობდა,თუ ერთ ქვეყანაში ფეხს მოიკიდებდა კომუნიზმი, მაშინ იგივე მოხდებოდა რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც, ამიტომ მიიღო მონაწილეობა ვიეტნამის ომში(1964-75), რამაც 58000 ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა.

დროთა განმავლობაში ცხადი გახდა, რომ შერჩეული **„შეჩერების პოლიტიკა“** კარგავდა ეფექტურობას მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების ფონზე, საჭირო იყო ახალი კურსის შემუშავება, რომელიც უპასუხებდა დროს. შეიცვალა გეოპოლიტიკური კოდი და 60-იან წლებში ჩამოყალიბდა **„დაშინების პოლიტიკა“**. აღნიშნული პოლიტიკური კურსი გულისხმობდა აშშ-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას, აშშ-ს ბირთვული შეიარაღების ზრდას, რომელსაც უნდა „დაეშინებინა“ საბჭოთა კავშირი და სამხედრო უპირატესობით დაემარცხებინა. არჩეული კურსი ეფექტური აღმოჩნდა. ცივი ომი მივიდა დასასრულამდე. ბიპოლარულმა სამყარომ შეწყვიტა არსებობა.ერთმა პოლუსმა განიცადა მარცხი, ხოლო მეორე პოლუსმა ტრიუმფალურ გამარჯვებას მიაღწია. ამერიკამ გაიმყარა მსოფლიო ლიდერის პოზიციები.სისტემა **უნიპოლარული**-ერთპოლუსიანი გახდა,

[1] დავითაშვილი ზ. "გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში." *ჩვენი სამყარო N12.* თბილისი-2016. გვ.10.

სადაც ერთადერთი ძალის პოლუსი და ერთადერთი ზესახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები გახდა.

დღეს,გარკვეული შეხედულების მიხედვით, საერთაშორისო სისტემას აქვს **მულტიპოლარული** სახე, სადაც ძალის პოლუსებად განიხილებიან აქტორები: აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და ინდოეთი. საგულისხმოა სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრება, რომ XXI საუკუნე იქნება ცივილიზაციათა შეჯახების საუკუნე. სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდება დასავლური და ისლამური ცივილიზაციები, ინდუისტური, იაპონური, აფრიკული, ლათინური ამერიკის, ბუდისტური და კომფუციანური.

ამ პირობებში ამერიკის ლიდერი სახელმწიფოს სტატუსი დამოკიდებულია ევრაზიის რეგიონზე, თუ რამდენ ხანს და როგორ შეძლებს ის მოიპოვოს და გაამყაროს საკუთარი გავლენა ევრაზიის რეგიონში. იმის გათვალისწინებით, რომ ევრაზიის რეგიონში დღითიდღე ძლიერდებიან სახელმწიფოები, რომლებიც ხელს შეუშლიან ამერიკას გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევაში, ამერიკამ უნდა შეიმუშაოს ისეთი სტრატეგია, რომელიც უპასუხებს არსებულ რეალობას და შეძლებს საერთაშორისო რეჟიმის საკუთარი ინტერესებისამებრ ფორმირებას. ამასთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით ზბ. ბჟეზინსკის მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ „ამერიკას არა აქვს აზიური მატერიკისადმი არავითარი გეგმები და ისტორიულად, როგორც იაპონიის, ისე რუსეთის მხრიდან, გაცილებით სუსტი ჩინეთის ხელყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა“[2]. სინამდვილეში ფაქტები ამას სულაც არ ადასტურებს, აშშ ისეთივე იმპერიალისტური მიზნებით იყო განმსჭვალული ჩინეთის მიმართ, როგორც იაპონია და რუსეთი, ამის მაგალითად გვაქვს კუშინგის მისია ჩინეთში და სხვა. ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქვეყანა კიდევ დიდი ხნით იქნება მოწინავე პოზიციებზე მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ისეთი სახელმწიფო,

[2] ბზეჟინსკი ზბ. "*დიდი საჭადრაკო დაფა".* გამომცემლობა: "არტანუჯი". თბილისი-2014. გვ.7.

როგორიცაა ჩინეთი, შესაძლოა გახდეს ამერიკის მთავარი კონკურენტი სახელმწიფო, როგორც აღმოსავლეთში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ჩინეთის მზარდი ეკონომიკის წყალობით, მან უკვე მოიპოვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენა აღმოსავლეთში და თუ ამ ტემპით განაგრძობს ეკონომიკურ აღმავლობას, ვარაუდობენ, რომ მალე ამერიკას გადაუსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, თუმცა არა ერთ სულ მოსახლეზე გათვლით.

ცხადია, რომ ქვეყნის საგარეო პლიტიკური კურსი ხშირად განიცდიდა ცვლილებას, განსაკუთრებით ჩინეთთან დაკავშირებით, თუმცა ამ უკანასკნელს ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაში. კლინტონიდან მოყოლებული ქვეყნის პოლიტიკური კურსი ჩართულობაზე იყო ორიენტირებული, რასაც ვერ ვიტყვით ბუშის ადმისტრაციის მიერ შერჩეულ კურსზე, აქ უპირატესობა შეკავების პოლიტიკაზე გადავიდა. უმცროსი ბუშის მმართველობის დროს, ჩინეთი აღქმული იყო, როგორც „პასუხისმგებლიანი მოთამაშე“. აქ ჩინეთი ამერიკამ ცნო ძლიერ სახელმწიფოდ და მისი პოზიცია განიხილა, როგორც დაინტერესებული აქტორის პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობებში და საკითხებში,თუმცა როგორიც არ უნდა ყოფილიყო სახე საგარეო პოლიტიკის, აშშ ოთხ ძირითად ეროვნულ ინტერესზე დაყრდნობით ატარებდა საგარეო პოლიტიკას და ეს იყო : **ძალა, მშვიდობა, პრინციპები და კეთილდღეობა.**

ამერიკის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში დიდი როლი ითამაშა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარმა ტერორისტულმა თავდასხმამ აშშ-ზე, რის შემდეგაც ბუშმა უმცროსმა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომი“ გამოაცხადა და განაცხადა, რომ „იგი არ დასრულდება მანამ, სამან საერთაშორისო მასშტაბით მოქმედ ყველა ტერორისტულ ჯგუფს არ ვიპოვით, გავაჩერებთ და დავამარცხებთ“[3] . ადმინისტრაციამ ყურადღება გაამახვილა „ბოროტების ღერძზე“, რომელშიც ის სახელმწიფოები იგულისხმებოდა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ტერორიზმს. ტერორიზმთან ბრძოლის გამოხატულება

[3] ჯენტლესონი ბ. "*ამერიკის საგარეო პოლიტიკა არჩევნის დინამიკა 21-საუკუნე". გამომცემლობა*: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2015. გვ.3.

იყო ომი ავღანეთში, ერაყში, ასევე „პატრიოტის აქტის“ მიღება 2001 წელს, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იქნა მიღებული, რომლის წყალობითაც უფლებები გაეზარდათ სამართალდამცავებს კონტროლის მეტი საშუალებისათვის თუმცა მეორე საკითხია, რა საფრთხეს უქმნის აღნიშნული აქტი დემოკრატიულ პრინციპებს. აღნიშნული კურსი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რასაკვირველია დარჩა, თუმცა ობამას პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკა გადავიდა უფრო რბილ და შემწყნარებლურ რელსებზე, თუმცა ჰეგემონიის მახასიათებლები კვლავ ადგილზე რჩება. ობამას პოლიტიკური შეხედულებები განსხვავებული იყო წინამორბედის ხისტი და სამხედრო ინტერვენციისკენ მიმართული პოლიტიკისგან. მაგალითად ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში, სადაც ამერიკამ არ ითამაშა საერთაშორისო პოლიციელის როლი, რასაც მისგან მოელოდნენ.

თანამედროვე პერიოდში, ამერიკის როლზე, საინტერესოა მაიკლ ფლინის კომენტარი, რომელიც ამბობს, რომ ამერიკის ჩართულობა აუცილებელია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. „მოგვწონს ეს თუ არა, მსოფლიოს ჩვენ ვჭირდებით, მსოფლიო ითხოვს ჩვენს ჩართულობას“.[4] ტრამპის ლოზუნგი „make America great again!” - კარგად ასახავს ტრამპის ადმინისტრაციის მთავარი საგარეო კურსისი მიმართულებას, რომ ამერიკამ აუცილებლად უნდა დაიბრუნოს ის როლი და გავლენა, რაც მას უწინ ჰქონდა. ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე ტრამპის საგარეო პოლიტიკური ხედვები ბევრ კითხვის ნიშანს ბადებდა. მან ირანი მოიხსენია, როგორც მსოფლიოს მასშტაბით ტერორიზმის დამფინანსებელ ყველაზე დიდ სახელმწიფოდ და პირობა დადო, რომ აუცილებლად დაშლიდა და შეაჩერებდა ირანის ტერორისტულ ქსელს. მან ეს განცხადება 2016 წლის გამოსვლის დროს განაცხადა და საყურადღებოა, რომ 2018 წელს აშშ გამოვიდა იმ ბირთვული შეთანხმებიდან, რომელიც ირანთან ჰქონდა დადებული. ამასთან დაკავშირებით

[4] „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: მეტი ჩართულობა თუ იზოლაცია?“. გვ.1. https://www.amerikiskhma.com/a/what-should-us-role-be-on-international-stage/3672556.html (ნახვის დრო 10.04.2020)

ტრამპმა განაცხადა, რომ აღნიშნული გარიგება იყო ყველაზე ცუდი და ცალმხრივი შეთანხმება, რომელიც შეერთებულ შტატებს ოდესმე გაუფორმებია. ასევე საგულისხმოა ტრამპის და ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის შეხვედრა, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ხმაურიანი ნაბიჯი იყო შეერთებული შტატების მხრიდან ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება. ტრამპის გამონათქვამები და შეხედულებები თითქოს ქვეყნის პასიურობას და ნაციონალიზმისაკენ მიდრეკილებას გამოხატავს, სადაც „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ წამყვან პარადიგმად იქცა. ობამას ადმინისტრაციისგან განსხვავებით ტრამპის პოლიტიკური ხედვები იდეალიზმიდან რეალიზმისკენ გადაიხარა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც ამ მიმართულების მატარებელი გახდა, სადაც ძალას და ძალაუფლებას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ცხადია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების წყალობით, აშშ-ს როლი, როგორც ქმედითი და სანდო აქტორის, მნიშვნელოვანი და საჭიროა, რადგან თავად ამერიკასაც არ აწყობს მსოფლიოში განვითარდეს ისეთი პროცესები, რომელიც ხელს შეუშლის ქვეყნის დომინანტური პოზიციის შენარჩუნებას, მშვიდობისა და სტაბილურობის გამყარებას.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ყოველთვის ემსახურებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, უსაფრთხოებას და კეთილდღეობის უზრუნველყოფას. მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები შეიცავს ზომებს, რომელიც ემსახურება კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნას, საზღვრების საიმედო დაცვას, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობის, თავისუფლების და დემოკრატიული პრინციპების დანერგვასა და უზრუნველყოფას. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარ და უპირველეს მიზანს წარმოადგენს ამერიკელი ხალხის, ქვეყნის და ცხოვრების წესის დაცვა. მეორე მთავარ მიზნად ისახება ამერიკულ კეთილდღეობაზე ზრუნვა - აქ აქცენტი კეთდება ეკონომიკურ ასპექტებზე, როგორიცაა ექსპორტზე ზრუნვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საშინაო ეკონომიკის გაჯანსაღება, ინოვაციებისა და კვლევების წახალისება, ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნება, ასევე აქ გამოიკვეთა აშშ-ს

მნიშვნელოვანი ამბიცია გახდეს ენერგო-დომინანტი სახელმწიფო. შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულება არის მშვიდობის შენარჩუნება ძალის მეშვეობით - ამ კუთხით რევიზიონისტურ სახელმწიფოებად რუსეთი და ჩინეთია დასახელებული, ჩინეთიდან საფრთხედ სახელდება სამხედრო და ბირთვული ძლიერების ზრდა, ასევე ჩინეთის სურვილი გააძევოს აშშ ინდოეთის ოკეანის და წყნარი ოკეანის რეგიონიდან, აქ სასურველი ეკონომიკური წესების დამკვიდრება და დამყარება. ამ პუნქტში გამოიყოფა ჩრდილოეთ კორეა და ირანი, როგორც ბალისტიკური რაკეტების და ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოები, რაც შესაძლოა აშშ-ს წინააღმდეგ გამოიყენონ. ასევე ხაზი გაესვა ტერორისტულ დაჯგუფებებს და ირანი ამ კუთხითაცაა გამოკვეთილი. ეროვნული უსაფრთხოების მეოთხე მნიშვნელოვანი მიმართულება არის აშშ-ს გავლენის ზრდა - განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ინსტიტუტებში აშშ-ს როლის და გავლენის ზრდაზე. რასაკვირველია ,საგარეო პოლიტიკა შესაძლოა შეიცავდეს თანდაყოლილ წინააღმდეგობებს, როგორიცაა მაგალითად აგრესიული საგარეო პოლიტიკა კონკრეტულ ქვეყანასთან, რომლის ქმედებებიც აშშ-ს უსაფრთხოებისთვის საფრთხედ აღიქმება. საგარეო პოლიტიკა ვერ იქნება სტატიკური, მან უნდა უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და მიიღოს შესაბამისი ფორმა არსებული რეალობის გათვალისწინებით.

რომ შევაჯამოთ, ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი დროთა სვლის პარალელურად განიცდიდა ცვლილებებს, თუმცა ყოველთვის ამოდიოდა ეროვნული ინტერესებიდან და კეთილდღეობის უზრუნველყოფიდან. ამერიკა არის ზესახელმწიფო და მსოფლიოს ლიდერის პოზიციას იკავებს გამომდინარე საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ რესურსული პოტენციალიდან. ამერიკას, იმისათვის, რომ არ დაკარგოს არსებული მოწინავე პოზიცია, სჭირდება მოქნილი და არსებული გამოწვევების შესაბამისი საგარეო პოლიტიკური კურსი. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია აზიის რეგიონზე გავლენის შენარჩუნება, მითუმეტეს

იმ პირობებში, როცა ჰეგემონობის პრეტენზიით ძლიერდებიან რიგი სახელმწიფოები. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამერიკას ხშირად უტვირთია საერთაშორისო პოლიციელის როლი, როგორც მაგალითად სპარსეთის ყურის ომში. დახმარებია სუსტ სახელმწიფოებს დიქტატორი ლიდერისთვის ძალაუფლების ჩამორთმევაში, თუმცა იყო შემთხვევები განზე გადგომისა და ჩაურევლობისა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქოს ამერიკა თვალს ხუჭავდა საზღვრებს მიღმა მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა 2001 წლის ტერაქტის შემდეგ, კვლავ ერთვება აღმოსავლეთ სამყაროსა და აზიაში მიმდინარე მოვლენებში. ქვეყნის წინაშე დგას გარკვეული სირთულის გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავებ საგარეო პოლიტიკას, როგორიცაა ტერორიზმი, ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არიან რუსეთი, ირანი, ჩინეთი,ჩრდილოეთ კორეა, ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებები და სხვა. აქვე უნდა ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძველი, რომელიც გამოხატულია მიდგომაში, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები არ ომობენ ერთმანეთთან, ეს მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების ხელშემწყოფ არგუმენტადაა მოყვანილი. თუმცა მაგალითები ამას ვერ ამტკიცებენ. ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთი ამერიკისათვის საყურადღებო რეგიონი გახდა და იქ მიმდინარე დაძაბული მოვლენები აშშ-სთვის გამოწვევად გადაიქცა. გამოწვევას წარმოადგენს ჩინეთის მზარდი აღმასვლის პროცესი, რის გამოც საგარეო პოლიტიკაში ჩინეთთან ურთიერთობის მომენტები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

II თავი. ჩინეთის გეოპოლიტიკური როლი თანამედროვე მსოფლიოში

ჩინეთის აღმავლობას „მსოფლიო სახელმწიფოს“ სტატუსისკენ ყურადღებით აკვირდება მსოფლიო, განსაკუთრებით თანამედროვე პერიოდში. ჩინეთი, რომელიც ჰეგემონის სტატუსის მოსაპოვებლად უკვე ემზადება, იდეოლოგიური განსხვავებების გამო განიხილება ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ ამერიკისთვის. ის ცალსახად გასცდა რეგიონული სახელმწიფოს სტატუსს და აშკარად გააჩნია პრეტენზია მსოფლიოს სახელმწიფოდ ქცევაზე. დღესდღეობით მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბებულ ჩინეთში, ინვესტიციების დაბანდებით ევროპის რიგი სახელმწიფოები არიან დაინტერესებულნი ისევე, როგორც დიდია ამ მხრივ ამერიკის დაინტერესება. ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია, რის გამოც ყოველწლიურად ექსპორტი 25-30%-ით იზრდება. ჩინეთი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიულ თუ დიქტატორულ რეჟიმს, ის მაინც ამყარებს შესაბამის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებს მათთან, ამის გამოა, რომ განვითარებად სამყაროში იპყრობს ლიდერი სახელმწიფოს პოზიციას. წარსულში, ჯერ კიდევ ნაპოლეონი ამბობდა, რომ „იქ გიგანტი წევს,მას სძინავს. დაე, ეძინოს,რადგან როცა გაიღვიძებს მთელს მსოფლიოს შეანჯღრევს“.[5]

ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში გამოიყოფა ხუთი მთავარი ფუნდამენტური ღირებულება, რომელზეც აგებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ესენია: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და დაცვა, თავდაუსხმელობის პატივისცემა, ორმხრივი სარგებელი და თანასწორობა, სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩაურევლობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება. ქვეყანა მისდევს **„მშვიდობიანი აღზევების“** სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოს დადებითად განწყობას და ჩინეთის გავლენის ზრდას. აღნიშნული

[5] ჩიტაძე ნ. "*გეოპოლიტიკა".* გამომცემლობა: უნივერსალი. თბილისი-2011. გვ.293.

სტრატეგიის შედეგად ჩინეთი დასავლეთშიც იუმჯობესებს იმიჯს და განვითარებად სამყაროშიც. ჩინეთი მიუხედავად იმისა, რომ არ აღიარებს დასავლურ ღირებულებებს და ამასთან ერთად კომუნისტური პარტიის მიერ იმართება, უკონფლიქტო და რბილი პოლიტიკით მოქმედებს, რაც ქვეყნისთვის სასურველ შედეგებს იწვევს.

აღსანიშნავია **„ერთი სარტყელი, ერთი გზის“** ინიციატივა, იგივე „საუკუნის პროექტი“, რომელიც 2013 წელს პრეზიდენტი სი ძინ პინის მიერ იქნა გაცხადებული. მოცემული იდეა აერთიანებს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის იდეებს. იდეა მოიცავს ევრაზიის დიდ ნაწილს, ის აერთიანებს ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს განვითარებად სახელმწიფოებთან, ამდენად ეს მოცემულობაც ხაზს უსვამს პროექტის მასშტაბურობას. მიდგომა ითვალისწინებს ყველა მონაწილე მხარის ინტერესების დაცვით პროექტის მშენებლობას. „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივა აერთიანებს მნიშვნელოვან მიმართულებებს: ფინანსური ინტეგრაცია, ვაჭრობა ბარიერების გარეშე, ასევე მნიშვნელოვან მიმართულებად იკვეთება ინფრასტრუქტურის დაკავშირება და პოლიტიკური კოორდინაცია. ინიციატივის მთავარი მიზანი არის ევროპასა და აზიის სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი ინტეგრაციის განვითარება და გაღრმავება, ასევე მთავარი მიზანია ჩინური საქონლისთვის სავაჭრო გზების ფართოდ გახსნა, კიდევ ერთი მიზანს წარმოადგენს ცენტრალური აზიიდან და რუსეთიდან ჩინეთში მიმავალი ენერგორესურსების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა და განმტკიცება. პროექტის წარმატებით განხორციელების გზით, მიღწეულ იქნება ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. მშვიდობის შენარჩუნება ქვეყნის პერიფერიებში-ეკონომიკური განვითარება და ანტიტერორისტული ღონისძიებები

2. მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება-უცხოურ ბაზრებზე წვდომის შენარჩუნება
3. ქვეყნის შიდა წესრიგის უზრუნველყოფა და შენარჩუნება
4. საერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება, რაც გამოიხატება რეგიონული ძალის სტატუსის ევრაზიაში მოპოვებით.[6]

იმის გამო, რომ ჩინეთს ევროპასთან დასაკავშირებლად არაერთი გზა გააჩნია, ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოახერხებს ჩინეთს საკუთარი ინვესტირების ან ვაჭრობის პირობები წაუყენოს. თუმცა ინიციატივის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოებს მრავალი კუთხით და მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობა და სტიმული ეძლევათ. „საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს“ შეფასების თანახმად, ჩინეთის მთავრობას წლიურად იმდენი დაფინანსების გამოყოფა შეუძლია, რამდენიც ერთად მსოფლიო ბანკსა და აზიის განვითარების ბანკს.[7] პროექტი სამი ფინანსური ინსტიტუტით ფინანსდება, აბრეშუმის გზის ფონდი, ჩინეთის ექსპორტისა და იმფორტის ფონდი და ჩინეთის განვითარების ბანკი. სამივე მათგანი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსურ ინსტიტუტებს. პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობას ღებულობს აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი პეკინში დაფუძნებული და ახალი განვითარების ბანკი შანხაიში დაფუძნებული.

ზემოხსნებულ ინიციატივას ასზე მეტმა სახელმწიფომ და ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი და მოიწონა. ამ შემთხვევაში საქართველო ერთ-ერთი მათგანია. ჩინეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც

---

[6] ლარსენი ჯ. "*საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები"სარტყელისა და გზის" გეოპოლიტიკა". გამომცემლობა*: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი-2017. გვ.13.

[7] Duchatel M. Godement F. Kadri Liik. Shapiro J. Slavkova L. Stanzel A. Tcherneva V. “Eurasian Integration: Caught Between Russia and China”, European Council on Foreign Relations. P.1. https://www.ecfr.eu/article/%20essay_eurasian (ნახვის თარიღი 12.04.2020)

რასაკვირველია პოზიტიური ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ხელი მოეწერა ბეიჯინგში 2015 წელს, საქართველოს იმდროინდელ პრემიერ მინისტრ, კვირიკაშვილსა და ჩინეთის ვაჭრობის მინისტრს შორის.

ჩინეთის როლის ზრდის შეფასება სხვადასხვა კუთხით არის შესაძლებელი. ერთის მხრივ, ჩინეთის ხელისუფლება მკაფიოდ აცხადებს მშვიდობიანი განვითარების კურსს, თუმცა არის ქვეყნები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ. არის მოსაზრება, რომ ჩინეთი ექსპანსიონისტური სახელმწიფოა, ის ცდილობს, ეკონომიკური აღმასვლის და განვითარების გზით, განამტკიცოს საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენა აზიაში და არამარტო აზიაში.გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან, მას შემდეგ რაც ჩინეთმა გაატარა რიგი რეფორმები და ოფიციალურად გამოაცხადა ღია კარის პოლიტიკა, ჩინეთის ეკონომიკა ჩამოყალიბდა ყველაზე მზარდ ეკონომიკად მსოფლიოში. 2000 წლის შემდეგ, როდესაც ჩინეთი გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ქვეყნის როლი მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაში საგრძნობი და მნიშვნელოვანი გახდა. ხოლო დღეს ჩინეთი მსოფლიო ვაჭრობის უმსხვილეს მონაწილედ ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში ჩინეთისთვის მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გვევლინება, როგორც **„რბილი ძალის“** გამოყენებად, მიაღწიოს საკუთარ გეპოლიტიკურ მიზნებს ეკონომიკის წყალობით. 2017-2019 წლების ყველაზე საიმედო ეროვნულ ეკონომიკად ჩინეთია მიჩნეული, ნომერ მეორედ კი - ყველაზე მიმზიდველ ეკონომიკად მულტინაციონალური საწარმოებისთვის.[8]

ჩინეთთან დაკავშირებით ვერ გამოვრიცხავთ ისეთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ჩინეთი ცდილობს გაავრცელოს აზიაში „ჩინური წესები“ და დაამკვიდროს ჩინური წესრიგი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთსა და ჩინეთს

[8] ჭარაია ვ. „საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები.“ გამომცემლობა: *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.* თბილისი-2017. გვ.3-4.

მართლაც აქვთ მისწრაფება, რომ შეამცირონ ამერიკის გავლენა აზიაში. ეს ორი სახელმწიფო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც მართლაც მტკივნეულად აღიქვამენ და განიცდიან ამერიკის ჰეგემონობას. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ქვეყანა ფლობს ბირთულ არსენალს, რომლის წყალობითაც შეუძლიათ დაემუქრნონ ამერიკას, მაგრამ ასევე ფაქტია ისიც, რომ რეალურად არცერთ მათგანს არ ძალუძს მოიპოვონ აბსოლიტური გამარჯვება, რადგან აშშ ფლობს ტექნოლოგიურად გამართულ სამხედრო ძალას. რუსეთის და ჩინეთის ალიანსი, რაც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებშიც ვლინდება, ამის კარგი გამოხატულებაა. თუმცა ჩინეთი ღიად ვერ გაატარებს კონფრონტაციულ პოლიტიკას ამერიკასთან, გამომდინარე მათ შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობებიდან და ასევე იმის აღიარებიდან, რომ აშშ ძლიერი მეტოქეა ჩინეთისთვის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩინეთი ერთადერთი სახელმწიფოა აშშ-ს გამოკლებით, რომელიც დაკავებულია გრძელვადიანი სამხედრო მშენებლობით და მას დიდ ყურადღებასა და რესურსებს უთმობს. ჩინეთი შეიარაღებას სერიოზულად უდგება და ისეთი თანამედროვე აღჭურვილობის შექმნას ცდილობს, რომელიც არასდროს ჰქონია, მათ შორისაა თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური იარაღი, სარაკეტო სისტემები, დიდი წყალქვეშა ნავები და ავიამზიდები. ჩინეთის არმია უკვე აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს, ის ფლობს ქიმიურ იარაღს და სწრაფად მზარდ თანამედროვე საზღვაო ფლოტსაც. ჩინეთის სამხედრო ძალებს 2050 წლისთვის უნდა შეეძლოთ გამარჯვების მოპოვე შეიარაღებულ დაპირისპირებებში საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ხანგრძლივობით და ნებისმიერი მასშტაბით. ჩინეთი აცხადებს, რომ მშვიდობის განმტკიცებაზე ორიენტირებულ საგარეო კურსს არ შეცვლის და ეს მხოლოდ საკუთარი ტერიტორიისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გატარებული სამხედრო პოლიტიკაა და ის არასდროს შეეცდება სამხედრო ექსპანსიას. ჩინეთი საუბრობს ყველა სახელმწიფოს თანაბარუფლებიანობის პრინციპის დაცვაზე,გაეროს მიზნების, წესების და ნორმების შესაბამისად. თუმცა

ფაქტია, რომ აქამდე არსებული სამხედრო იზოლაციონიზმი იცვლება და ჩინეთი გამოდის ფართო ასპარეზზე სამხედრო კუთხითაც. ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ჩინეთი უკვე წარმოადგენს დიდ მოქმედ პირს, საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, რომელიც უკვე არის მნიშვნელოვანი რეგიონული სახელმწიფო. ჩინეთის ასეთმა გამოჩენამ არენაზე, ახალი გეოპოლიტიკური სურათი შეიძლება დახატოს. „დიდი ჩინეთის“ შექმნის იდეა რათქმაუნდა საფრთხის შემცველია ამერიკისთვის, ამან შესაძლოა აშშ იაპონიასთანაც კი დააპირისპიროს, რადგან იაპონია არ აირჩევს აშშ-ს მსგავს შეკავების პოლიტიკას ჩინეთთან დაკავშირებით და შესაძლოა მოვლენების ამგვარმა განვითარებამ საერთოდ დააკარგვინოს აშშ-ს აზიაში პოზიციები. როდესაც მოვლენათა პოტენციურ განვითარებაზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა ვისაუბროთ ერთი მიმართულებით განვითარებაზეც, რასაც ჩინეთის, რუსეთის და ირანის გაერთიანება ჰქვია აშშ-ს საპირწონედ და საწინააღმდეგოდ, რომელიც ატარებს „ანტიჰეგემონისტური“ კოალიციის სახეს, ბჟეზინსკის მიხედვით.[9]

რეალურად ჩინეთს გააჩნია რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი, რომელთაგან უმთავრესია ნაციონალური სუვერენიტეტის დაცვა და შიდაპოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, პრიორიტეტულია ასევე რეგიონული უსაფრთხოების გამყარება და ჰარმონიული სამყაროს შექმნა, პრიორიტეტებში ასევე გამოკვეთილია საერთაშორისო პოლიტიკაზე ზეგავლენა და ვალდებულებების მინიმალიზება. თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც აბრკოლებენ ჩინეთს საკუთარი გეგმების სისრულეში მოყვანის საქმეში,განსაკუთრებით პრობლემები აშშ-სთან.

ჩინეთისთვის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს **სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხი**,რომელიც უშუალოდ აშშ-სთან დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზია. აღნიშნული რეგიონი ყოველთვის უთანხმოების წერტილს წარმოადგენდა

[9] ბზეჟინსკი ზბ. "*დიდი საჭადრაკო დაფა". გამომცემლობა*: "არტანუჯი". თბილისი-2014. გვ.88.

გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან დღემდე. დღეს ეს აკვატორია ყოველწლიურად 5.3 ტრილიონ ამერიკული დოლარის ღირებულების საქონელს ატარებს, სადაც მეტი წილი ამერიკაზე მოდის. ამიტომ ლოგიკურია ამ მეგიონის მიმართ დიდი დაინტერესება, როგორც ამერიკის ისე ჩინეთის მხრიდან. ზღვა წარმოადგენს ერთ-ერთ შესასვლელს მალაკის სრუტეში. რის გამოც კონტროლი ზღვაზე, თავისთავად ნიშნავს კონტროლს სრუტეზე გამავალი მნიშვნელოვანი საზღვაო მიმოსვლის მნიშვნელოვან ნაწილზე. ამ სრუტეზე გადის გლობალური ვაჭრობის 25%, ამასთან ზღვით გამავალი ნავთობის 25% სწორედ მალაკის სრუტეზე გადის. აღნიშნულის გამო ეს კონკრეტული წერტილი არის მსოფლიოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური წერტილი,რომელზე ბატონობაც ბევრის განმსაზღვრელია ამ შემთხვევაში ჩინეთისთვის. რეგიონის ბუნებრივი რესურსები, როგორებიცაა გაზი და ნავთობი, ჩინეთის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან აქ შეუძლია განახორციელოს ენერგეტიკის მოპოვების ღონისძიებები. თუმცა საკითხს ართულებს ფილიფინებსა და აშშ-ს შორის 1951 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აშშ იღებს პასუხისმგებლობას, დაეხმაროს ფილიპინებს სამხედრო კუთხით, თუკი ფილიპინების ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრება. ჩინეთისთვის პრობლემას წარმოადგენს აშშ-ს სამხედრო საზღვაო ბაზები და ტაივანი,იაპონია, ფილიფინების საშუალებით, აკვატორიაში აშშ-სთვის შექმნილი ერთგვარი წყნაროკეანური ფარი. ფაქტია, რომ დაძაბულობა არსებობს რეგიონთან დაკავშირებით, თუმცა რამდენად სერიოზული სახის მიღება შეუძლია მას, ამას დრო ცხადყოფს.

თუ მოვიშველიებთ ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ნიკოლას სფაიქმენის(1893-1943) გეოპოლიტიკურ მიდგომებს, ის საუბრობს ევრაზიულ **რიმლენდზე**, აქ მოიზრება ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები, დასავლეთ ევროპის ზღვისპირა ზოლი, ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთი, წითელი ზღვა, სამხრეთ ჩინეთის ზღვა, ჩინეთი, ინდოეთის ოკეანე, იაპონია, ოხოტისა და ბერინგის ზღვები,რომელიც მისი თქმით მსოფლიო ბატონობის საფუძველია. დროულია მოვიყვანოთ მისი ცნობილი

დებულება, რომ „ვინც დომინირებს რიმლენდზე, მბრძანებლობს მთელს ევრაზიაზე, ვინც ბრძანებლობს ევრაზიაზე, მას ხელში მსოფლიოს ბედი უპყრია“ .[10] ვხედავთ, რომ აღნიშნული სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონი და ინდოეთის ოკეანე ამ მიდგომის თანახმად სწორედ რიმლენდის ნაწილია, მის მიმართ აშშ-ს ინტერესიც ლოგიკურია, რადგან თუ ამერიკას სურს მსოფლიოს ბედი ხელში აიღოს, საჭიროა მოცემულ რეგიონზე პოზიციები განიმტკიცოს, რადგან ეს საშუალებას მისცემ ევრაზიაზე მოიპოვოს მნიშვნელოვანი გავლენა და შედეგად, მსოფლიო სახელმწიფოს სტატუსის ფლობაში ჩინეთი ან სხვა სახელმწიფო ვეღარ შეეწინააღმდეგება. აღნიშნული გეოპოლიტიკური რიმლენდის პრინციპი კარგად ხსნის სამხრეთ ჩინეთის ზღვის მნიშვნელობას და ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა კვეთას რეგიონის ირგვლივ.

აღსანიშნავია, ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დაკავშირებულია საზღვაო გზების კონტროლთან, ეს არის პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერობის განმაპირობებელი ფაქტორი. მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდებოდა სწორედ ზღვით და ასე გრძელდება დღესაც. შესაბამისად ჩინეთის ინტერესებიც მაღალია ამ მხრივ და შესაბამისი პოლიტიკური კურსიც განსაზღვრულია. ქვეყნის საზღვაო ვაჭრობის მასშტაბი მართლაც უზარმაზარია და მას ჩინეთის ეკონომიკაში გადამწყვეტი როლი უკავია. ამიტომაცაა, რომ ჩინეთის კეთილდღეობა და უსაფრთხოება დიდ წილად დამოკიდებულია საზღვაო გზებით თავისუფალ სარგებლობაზე და ფლობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საზღვაო სამხედრო ძალა ფლობდეს ორ მნიშვნელოვან ელემენტს: საკუთარ ფლოტს ანუ ხომალდებს და მეორე ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია ბაზები, სამხედრო ხომალდების მხარდასაჭერი ბაზები, რომელთა მდებარეობა უნდა იყოს ფლოტის სამოქმედო რეგიონებში. ბაზების ფუნქციების შემსრულებლად ჩინეთს ესახება შრი-ლანკა, მიანმარი, ბანგლადეში, პაკისტანი, რომლებთანაც შესაბამის ურთიერთობებს აწარმოებს. ამ პორტების აღსანიშნავად ტერმინიც დამკვიდრდა- ჩინური „string of

[10] გორგილაძე ი. "*გეოპოლიტიკის საფუძვლები". გამომცემლობა*: "უნივერსალი". თბილისი-2009. გვ.36.

pearls” . ჩინეთმა მნიშვნელოვან შეთანხმებას მიღწია ამ მხრივ ჯიბუტისთან , რომელიც სამხედრო ხასიათსაც ატარებს. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე სპარტლის კუნძლები. ქვეყანა აღნიშნულ კუნძლებზე საჰაერო ბაზებს აშენებს და ცდილობს გაიმყაროს პოზიციები კუნძულზე. ჩინეთის ამგვარი მდგომარეობა ცხადია საფრთხეს უქმნის აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას და გლობალურ ლიდერობას. შესაძლოა დაირღვეს აშშ-ს მონოპოლია საზღვაო სამხედრო დომინირებაზე, რაზეც გარკვეულწილად დაფუძნებულია ამერიკის მოცემული უნიკალური პოზიცია საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთის გეოსტრატეგიამ შესაძლოა რეალურად დააყენოს საფრთხის ქვეშ ამერიკის ზესახელმწიფოებრიობა და გლობალური ლიდერობა 21-ე საუკუნეში. აშშ რათქმაუნდა ეწინააღმდეგება ჩინეთის ამგვარ სტრატეგიებს, 2011 წლის ბოლოს და 2012 წელს ამერიკამ მიანიშნა, რომ მათი ძალისხმება მეტწილად მიმართული იქნებოდა სწორედ აღმოსავლეთ აზიისკენ. ამერიკული სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები ახორციელებენ პატრულირებას და კონტროლს სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონისა, რადგან ვერ შეძლოს ჩინეთმა საკუთარი ტერიტორიული მიზნები და ამბიციები გაატაროს ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში. ამასთანერთად ამერიკა ასევე ახორციელებს დიპლომატიურ და პარტნიორულ ურთერთობებს რეგიონში ჩინეთის მეტოქე-მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან. იმ შემთხვევაშიც თუ გეოპოლიტიკური პაექრობა წყნარი ოკეანისა და ინდოეთის ოკეანის სახელმწიფოებს შორის, მშვიდობიანად წარიმართება, აღნიშნული პროცესი დიდ ზეგავლენას მოახდენს 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემასა და წესრიგზე, რადგან მასში მონაწილე სახელმწიფოები არიან მსოფლიოში უმსხვილესი და უძლიერესი ეკონომიკის მფლობელი სახელმწიფოები, რომელთა როლი მსოფლიოში სარგძნობია.

ჩინეთისთვის კიდევ ერთი პრობლემური საკითხი დაკავშირებულია **ტაივანთან**, აქაც აშშ-ს როლი დიდია. მას შემდეგ, რაც ჩინეთში კომუნისტებმა გაიმარჯვეს და ნაციონალისტები კუნძულ ტაივანზე გადავიდნენ, აშშ 1972 წლამდე

მათი მოკავშირე იყო. სწორედ ამ პერიოდამდე ტაივანი იყო ჩინეთის წარმომადგენელი გაეროში. საგულისხმოა, რომ ტაივანზე არ ვრცელდება ჩინეთის იურისდიქცია. ტაივანი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ყველაზე საშიშ წერტილად აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში. ამერიკა ორმაგი პოლიტიკის ფარგლებში მხარს უჭერს ერთიანი ჩინეთის იდეას, თუმცა ასევე მხარს უჭერს ტაივანსაც. კარტერის ადმინისტრაციამ ოფიციალურად გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ერთადერთ ლეგიტიმურ ჩინურ მთავრობად, თუმცა ასევე განაცხადა, რომ აწარმოებს შესაბამის ურთიერთობას ტაივანთანაც. გამოვლინდა სხვა პრობლემური საკითხიც, როგორიცაა აშშ-ს მხრიდან იარაღის მიყიდვა ტაივანისთვის. ჩინეთის მხრიდან წამოყენებული „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“,ურთიერთობის დათბობას ემსახურება,რაც კარგად მუშაობს. ამ მხრივ ჩინეთმა რბილი პოლიტიკა აირჩია, რათა ტაივანთან დაახლოების პროცესი დაჩქარდეს და გააქტიურდეს, ეს რბილი პოლიტიკა რასაკვირველია გადის ეკონომიკაზე. გაზრდილი ეკონომიკური კავშირები, განათლების სფეროში თანამშრომლობა, კომუნიკაციები, სატრანსპორტო კავშირები, ტურიზმი და სხვა მრავალი მიმართულება სწორედ არჩეული პოლიტიკის გამოვლინებაა. ჩინეთის ესეთი გააქტიურება ტაივანთან, რასაკვირველია აშშ-სთვის პრობლემის შემცველია, რადგან არსებობს რეალური შანსი გაერთიანებისა ჩინეთთან, რის წყალობითაც აშშ დაკარგავს იმ ასობით მილიონ დოლარს, რომელსაც ტაივანთან პარტნიორობით შოულობს.

კორეის საკითხიც გარკვეულწილად მოქმედებს რეგიონში ჩინეთის გეოპოლიტიკურად მდგრადი და სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფაზე. ორად გაყოფილი კორეა, მაინც შეიცავს შესაძლო შეჯახების საფრთხეს, რის გამოც დაპირისპირებაში ჩაერთვება აშშ და გარკვეულწილად იაპონიაც, რაც ნახევარკუნძულის არასტაბილურობას გამოიწვევს. გარდა ამისა ისეთი სპეციფიკური სახელმწიფოს არსებობა მეზობლად, როგორიც ჩრდილოეთ კორეაა და რომელიც ბირთვული იარაღის მფლობელია, მუდმივ სიფხიზლეს საჭიროებს ჩინეთისგან. გარკვეულწილად აქ უნდა ვახსენოთ რუსეთი, რომელსაც თუკი ადრე ჩინეთი

ეკონომიკური და სტრატეგიული შესაძლებლობების ქვაკუთხედად მიაჩნდა, დღესდღეობით ამ ქვეყნის სახით გრძელვადიან გეოპოლიტიკურ საფრთხეს ხედავს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ იზრდება ეჭვები სახელმწიფოთაშორის, ჩინეთის არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური ქმედებების შესახებ, ჩინეთი იყენებს ეკონომიკურ აქტივებს საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, შესაბამისად ეს გარკვეულწილად იმოქმედებს სანდოობის დონეზე.

მიუხედავად პრობლემური საკითხების არსებობისა, ჩინეთი მაინც ახერხებს სტაბილურად წინსვლას და პროგრესირებას. ჩინეთის როლი გასცდა ევრაზიის კონტინენტს და ადგილი დაიმკვიდრა აფრიკასა და ლათინურ ამერიკაშიც.

ჩინეთსა და აფრიკას შორის ურთიერთობების საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1955 წელს ინდონეზიაში გამართული შეხვედრა აზიასა და აფრიკის სახელმწიფოთა შორის.ეგვიპტე გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც დაიწყო ურთიერთობები ჩინეთთან ჯერ კიდევ 1956 წელს. ჩინეთი არ მალავს, რომ ისევე, როგორც მაგალითად აშშ-ს , მასაც სჭირდება „შავი კონტინენტის“ ბუნებრივი რესურსები. ქვეყანამ გასცა შეღავათიანი კრედიტები აფრიკის მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის ისე, რომ სანაცვლოდ რაიმე პოლიტიკური მოთხოვნები არცკი წაუყენებია მათთვის. ურთიერთობები დაამყარა ისეთ დიქტატორულ სახელმწიფოებთანაც, რომლების იზოლირებასაც ცდილობდა დასავლეთი სწორედ მმართველობის ფორმის გამო. ამგვარი მიდგომის შედეგად ჩინეთი მარტივად ამყარებს სტრატეგიუ-პარტნიორულ ურთიერთობებს აფრიკის რიგ სახელმწიფოებთან და ისიც კი მოახერხა, რომ კონტინენტის იარაღის ბაზარზეც დაემკვიდრებინა ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთმა სუდანში 20 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია მოახდინა. ექსპერტთა გარკვეული წრეები იმასაც კი ფიქრობენ, რომ სუდანის ორად გაყოფის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჩინეთის ქვეყანაში ფეხის მოკიდების ხელყოფა და მისი გეგმების ჩაშლის სურვილი იყო. სწორი იქნება აქვე თუ ვახსენებთ ლიბიის მაგალითსაც, სადაც 18 მილიარდი აშშ

დოლარის ინვესტირება მოხდა ჩინეთის მხრიდან და ჩინური 75-მდე კომპანია ფუნქციონირებდა ლიბიაში და საგულისხმოა, რომ კადაფის წინააღმდეგ წამოწყებულმა კამპანიამ მნიშვნელოვნად უკან დაწია აღნიშნული პროცესების ჩინეთის საკეთილდღეოდ განვითარება. რაც შეეხება ანგოლას, საინტერესო ფაქტი უნდა ავღნიშნოთ, გაცემული კრედიტების დაფარვა ანგოლას არა ფულით არამედ ნავთობით უნდა მოეხდინა, რომელიც 2005-2010 წლებში პეკინმა ანგოლასთვის გასცა. ასევე აღნიშვნის ღირსია ვფიქრობ ის დეტალიც, რომ შეთანხმების საფუძველზე, ყველა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილზე სწორედ ჩინურ კომპანიებს უნდა ჩაეტარებინათ. ჩინეთის სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობა აფრიკის სახელმწიფოებთან, 2014 წელს 150 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებდა, ეს ფაქტიც კარგად აღნიშნავს ჩინეთის ეკონომიკურ ექსპანსიას აფრიკის კონტინენტზე. ჩინეთის აშკარა წარმატება აფრიკის სახელმწიფოებში მიუთითებს მის გრძელვადიან პერპექტივებზე „შავ კონტინენტზე“.

რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას, არამარტო ბუნებრივი რესურსებია ჩინეთისთვის საინტერესო, არამედ რეგიონი წარმოადგენს პოტენციურ მოკავშირეს ამერიკის ინტერესების გატარების წინააღმდეგ აღნიშნულ რეგიონში. ჩინეთი რეგიონში მოიპოვებს სასარგებლო წიაღისეულს, სპილენძს და ჩინეთისთვის მეტად მნიშვნელოვან რესურსს, ნავთობს. ქვეყანა შეღავათიანი პირობებით გამოყოფილი კრედიტების წყალობით, რეგიონში აშენებს ჰიდროელექტროსადგურებს, სატრანსპორტო მაგისტრალებს, რკინიგზას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რაც არის ჩინეთის მიერ გამოთქმული პანამის არხის ალტერნატიული მარშუტის შექმნის იდეა, რომელიც დააკავშირებს ატლანტის ოკეანეს წყნარ ოკეანესთან. ჩინეთმა, რეგიონისთვის გამოყოფილი კრედიტებისა და წარმოებული ვაჭრობის შედეგად, ასევე იმ მიდგომის წყალობით, რომელიც არ აიძულებს რეგიონის სახელმწიფოებს გაატარონ ჩინეთისთვის მოსაწონი კონკრეტული სახის პოლიტიკა, რეგიონში უკვე მნიშვნელოვნად დაიმკვიდრა

ადგილი. ამასთან დაკავშირებით ვთქვათ, რომ ჩინეთის სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვა 2000-2013 წლებში, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებთან 20-ჯერ გაიზარდა, რაც ნიშნავს იმას, რომ 12 მილიარდი აშ დოლარიდან 262 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი არგენტინის სახით, სადაც ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა ჩინეთის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ჩილეში, ბრაზილიაში, არგენტინაში, კუბაზე ჩინეთი აქტიურადაა ჩართული იქ მიმდინარე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. 2008 წელს ვენესუელას ისტორიაში პირველად გაუშვეს თანამგზავრი „სიმონ ბოლივარი“, რომელიც სწორედ ჩინეთში ააგეს. ბრაზილიაც აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთთან კოსმოსური სივრცის ათვისებასთან დაკავშირებულ საქმეებში.

ჩინეთის აქტიურობა რეგიონში გამოწვეული იყო ენერგეტიკულ რესურსებზე ჩინეთის ეკონომიკის მზარდი მოთხოვნებით. სწორედ ამიტომ, სამხრეთ ამერიკა ჩინეთისთვის წარმოადგენს პირველ რიგში ნედლეულის მომწოდებელ მნიშვნელოვან რეგიონს. მინდა ვახსენო ბრაზილიელი ფეხბურთელის, პელეს სიტყვები, რომელიც 2014 წელს ჩინეთის ლიდერმა გაიმეორე სამხრეთ ამერიკაში ვიზიტის დროს, - „შემდეგი გოლი-ყველაზე მნიშვნელოვანი გოლია“. რათქმაუნდა ჩინეთის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ეს ტერმინი პოლიტიკურ შინაარსს ატარებს. შესაძლოა ეს იმ სამომავლო გეგმებს ასახავს, რომელიც ჩინეთს გააჩნია სამხრეთ ამერიკასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით ვიტყვით რომ, გლობალურ სამყაროში, რომელიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას, ჩინეთი ყოველდღიურად ამტკიცებს საკუთარ შესაძლებლობებს, რის გამოც ანგარიშგასაწევი სახელმწიფო ხდება ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორიც ამერიკაა. საგულისხმოა ჩინეთის სტრატეგიული მიზანი, რომ სახელმწიფოს არსებობიდან ასი წლის თავზე, 2049 წელს, ჩინეთი უნდა გახდეს მსიფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, ეს სტრატეგია ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. საყოველთაო

ინტერესის ქონა და სწორი პოლიტიკის გატარება, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინტეგრაცია, ჩინეთს ეტაპობრივად აქცევს მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ, რომელიც აღზევების ტემპის დაგდებას არ აპირებს და რომელსაც გვერდს ვერ აუვლის დღევანდელი მსოფლიო. ჩინეთს გააჩნია საკმაოდ სერიოზული სამხედრო მისწრაფებები, რაც გამოხატულია ბირთვული ტრიადის ფლობაშიც. შეიმუშავა გეოპოლიტიკური მეტად მნიშვნელოვანი „ერთი გზა ერთი სარტყელის“ სტრატეგია. ჩინეთი ხდება გავლენის ცენტრი მსოფლიო პოლიტიკის და ჩამოყალიბდა ისეთ გეოპოლიტიკურ ძალად, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბით სიტყვა ეთქმის. ასევე საგულისხმოა ჩინეთისა და რუსეთის ალიანსი, რაც კარგადაა გამოხატული შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სახით, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ნატოს საწინააღმდეგო გაერთიანებად ჩამოყალიბდა. საინტერესოა რა დოზით ჩაერთვება ჩინეთი ისეთ გლობალურ პრობლემურ საკითხში, როგორიცაა ავღანეთი. არის მოსაზრება, რომ აშშ-ს ინტერესსაც წარმოადგენს და შესაბამისად ცდილობს, ჩინეთი ჩართოს, „ჩაითრიოს“, გლობალური მასშტაბის პრობლემურ საკითხებში და მათი მოგვარების საქმიანობაში, რათა მხოლოდ აშშ-ს არ ეკისროს მთელი გლობალური სიმძიმის ტვირთი. ჩინეთის მხრიდან 3 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება გაეროს და განვითარებად სამყაროს, როგორც სი ძინ პინმა განაცხადა გაეროს 70-ე სესიაზე გამოსვლისას, ასევე 8000 მშვიდობისმყოფელი, არის ნიშანი იმისა, რომ ჩინეთი მზადაა აიღოს რიგი პასუხისმგებლობები, რომელიც გლობალურ ხასიათს ატარებენ. ქვეყანამ აჩვენა, რომ ის არის მნიშვნელოვანი მოთამაშე საერთაშორისო პოლიტიკაში. ძალის პოლუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეები ახლა უკვე ჩინეთთან ასოცირდება, რის გამოც გლობალური სისტემა კარგავს ხისტ უნიპოლარულ სახეს და გადადის მის რბილ ფორმაში, მეტიც მრავალპოლუსიან სისტემაში.

III თავი. აშშ-ჩინეთის ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპები

მსოფლიოში აქტიური საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. ამ მხრივ გლობალური საერთაშორისო მნიშვნელობით გამოირჩევა სწორედ აშშ-ჩინეთის ურთიერთობები და მისი თანმდევი პროცესები. საუბარია მასშტაბურ გეოპოლიტიკურ ჭიდილზე, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობებში იჩენს თავს, ჰეგემონის სტატუსისთვის თუ სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის გაფართოებისთვის მსოფლიოში. თუკი ადრე სუპერსახელმწიფოდ მხოლოდ შეერთებული შტატები ვლინდებოდა, ახლა აღნიშნული მოცემულობა შეიცვალა, გამოჩნდა სხვა მთავარი და პერსპექტიული სახელმწიფო ჩინეთის სახით, თუმცა ვერ უგულებელვყოფთ ვერც რუსეთს, რომელმაც საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციებით დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიაში დამკვიდრდა და განმტკიცდა აშშ-ს პოზიციები. ერთის მხრივ ეს განპირობებული იყო აშშ-ს მცდელობით რეგიონის ინდუსტრიალიზაცია მოეხდინა, ხოლო მეორეს მხრივ აშშ-ს სურდა რეგიონში ჰყოლოდა მყარი დასაყრდენი სსრკ-ს მეზობლად და მასთან ახლოს. დროთა განმავლობაში ჩინეთის გაძლიერების პარალელურად, ის ღიად აცხადებს რეგიონში ჰეგემონის პოზიციის დაკავების სურვილს და რეგიონიდან აშშ-ს გაძევების მცდელობებიც ვლინდება. ჩინეთმა გაატარა მრავალი რეფორმა, რათა ჩამორჩენილო აგრარული სახელმწიფოდან ასულიყო მაღალტექნოლოგიურ და ციფრულ სახელმწიფომდე, რომელიც მსოფლიოში მზარდი ეკონომიკით უკვე გამოირჩევა. ჩინეთის ამგვარმა განვითარებამ მას მისცა შესაძლებლობა მოენდომებინა და შეექმნა ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელსაც რასაკვირველია საკუთარ თავზე მოირგებდა. აქ უკვე იწყება საუბარი აშშ-სა და ჩინეთს შორის კონკურენციის წარმოქმნაზე, რაც დაკავშირებულია სწორედ ჰეგემონობასთან. ამიტომ საინტერესოა მათი ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპები, რომელთა მნიშვნელოვან ასპექტებს ქვემოთ განვიხილავთ.

3.1. აშშ-ჩინეთის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები 1949 წ-დან თანამედროვე ეტაპამდე

ცივი ომის პერიოდში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები დაძაბულ სახეს ატარებდა. შეერთებულ შტატებს ჩინეთი აგრესიულ და ექსპანსიონისტურ ძალად მიიჩნევდა, მას „წითელ ჩინეთად“ მოიხსენიებდა და მისგან საფრთხეს ხედავდა არაკომუნისტური მეზობელი სახელმწიფოებისთვის, მეტიც ჩინეთს ხშირად საბჭოთა კავშირზე უფრო საშიშ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ, საიდანაც კომუნისტური საფრთხის სურათი იხატებოდა. მნიშვნელოვანი თარიღია 1949 წელი, როდესაც ჩინეთში გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, შტატების მოკავშირე ჩან კაიშმა ჩინეთი დატოვა და გადავიდა კუნძულ ტაივანზე. ტრუმენის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ახალ მმართველთან ურთიერთობაზე და ამ შემთხვევაში ტაივანის მოკავშირედ ყოფნა აირჩია. 1971 წლამდე ამერიკა ჩან კაიშის მოკავშირე იყო სანამ ნიქსონი-კისინჯერის პერიოდი არ დადგა ამერიკისა და ჩინეთის ურთიერთობებში. ამრიგად ტაივანის ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იყო აღიარებული. ასევე აღსანიშნავია, რომ 1971 წლამდე ჩინეთის წარმომადგენელი სწორედ ტაივანი იყო გაეროში. აქვე უნდა ავღნიშნოთ ტრუმენის მიერ გამოქვეყნებული **„ჩინეთის თეთრი ქაღალდი“** 1949 წლის აგვისტოში, რომელიც იყო აშშ-ს ადმინისტრაციის მცდელობა თავი დაეცვათ ამერიკელი პოლიტიკური კრიტიკოსებისაგან, რომლებიც აშშ-ს სდებდა ბრალს ჩინეთის დაკარგვაში. აღნიშნულ დებულებაში ხაზი იყო გასმული იმაზე, რომ ჩინეთში კომუნისტური ძალის გამარჯვება დამოკიდებული იყო მხოლოდ ჩინურ ძალებზე, ამით თითქოს აშშ „ხელებს იბანდა“ მომხდართან დაკავშირებით. აღნიშნულში წარმოდგენილი იყო აშშ-ს დეპარტამენტის ათასობით ოფიციალური მემორანდუმი და ფაილები. დოკუმენტს თან ერთვოდა „გადაცემის წერილი“, რომელიც იწყებოდა სიტყვებით, რომ მიუხედავად ღრმა განსხვავებებისა, რაც ჩინეთსა და აშშ-ს შორის იყო, მეგობრობა მათ შორის განმტკიცდებოდა კულტურული თუ ფილანტროპიული საკითხებით,

რომელიც ორ ქვეყანას აკავშირებს. ასევე ნათქვამი იყო, რომ ჩინეთს უნდა მისცემოდა საშუალება ჩამოეყალიბებინა და შეექმნა იმგვარი ინსტიტუტები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ქვეყნის მოთხოვნებს თანამედროვე მსოფლიოში. 1949 წლიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ვითარდებოდა დაძაბულობის, დიპლომატიის გაღრმავების, საერთაშორისო ეკონომიკის მზარდი და ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკის რთული ნაზავის ფონზე. მნიშვნელოვანი ეტაპია 1950-53 წლების კორეის ომი აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებში, სადაც მოცემული ორი ქვეყანა საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდნენ, მეტიც ურთიერთობის ესკალაცია იმ ეტაპამდე მივიდა, რომ კინაღამ აშშ-ჩინეთის სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. ცივი ომის პერიოდში ჩრდილოეთ კორეა და ჩინეთი მოკავშირეები იყვნენ და დღესაც აგრძელებენ ტრადიციას. მიუხედავად ამისა ამერიკა და ჩინეთი დღეს ჩრდ.კორეიდან მომდინარე ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ თანამშრომლობენ. 1950 წლიდან ჩინეთის საზღვრებთან ამერიკამ დაიწყო სამხედრო საზღვაო ალიანსების შექმნა, მაგალითისთვის ჩამოაყალიბა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია, იგივე SEATO, რომელიც აერთიანებდა ტაილანდს, სამხრეთ ვიეტნამს და ფილიპინებს. ამერიკამ სამხედრო დანაყოფები განათავსა სამხრეთ კორეაში და იაპონიაშიც. ამერიკამ საკუთარ მოკავშირეებს თავის შეკავებისკენ მოუწოდა, რომ არ დაემყარებინათ ბეიჯინგთან დიპლომატიური ურთიერთობები. ტაივანის კრიზისის გამო, 1955 წელს ამერიკა ბირთვული თავდასხმისთვისაც მზად იყო ჩინეთზე, თუმცა შეთანხმებას მიაღწიეს, აღნიშნულ საკითხზე კრიზისი განმეორდა 1956 და 1996 წლებშიც. ამ პერიოდში საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა იყო ორ ქვეყანას შორის. 1959 წელს ტიბეტში მომხდარი აჯანყების დროს, როდესაც დალაი ლამა ინდოეთში გაიქცა, აჯანყების დროს დაიღუპა მრავალი ადამიანი და აქ გაეროს ამერიკაც შეუერთდა ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობის საქმეში. გაერომ არაერთი რეზოლუცია მიიღო ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ტიბეტში. ურთიერთობა დაძაბული იყო **„მაკარტიზმის“** დროს, რაც დაკავშირებულია ამერიკელი სენატორის ჯოზეფ

მაკარტის სახელთან. მაკარტიზმი მიმართული იყო იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც რაღაც დოზით მაინც სიმპატიით იყვნენ განწყობილნი კომუნიზმის ან კომუნისტური ჩინეთის მიმართ. მაკარტი ტრუმენსაც კი შეეწინააღმდეგა იმის გამო, რომ თავი აარიდა ჩინეთთან სამხედრო დაპირისპირებას, რაც მისი აზრით კომუნიზმის გავრცელებას ხელს უწყობდა.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ პერიოდში **„ჩინურ ლობს“**, სადაც გაერთიანებულები იყვნენ ის საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩან კაიშის, ასევე ისინი ვისაც სურდა ჩინეთის კომუნისტური მთავრობის ხელისუფლებას ჩამოშორება, ასევე ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანებას, მეტიც მოითხოვდნენ ტაივანთან ურთიერთობის შენარჩუნებას. აღნიშნული გაერთიანება ცდილობდა მაქსიმალურად ხელი შეეშალა აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობის დათბობას და შესაძლო გაუმჯობესების გზაზე დადგომას. 1949- 1979 წლებში, 20 წლის მანძილზე ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არ არსებობის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია სწორედ „ჩინური ლობის“ ფენომენი დავასახელოთ. მნიშვნელოვანი თარიღია 1964 წელი, როდესაც ჩინეთმა პირველად გამოსცადა ატომური ბომბი და შეუერთდა ბირთვულ კლუბს. ტესტის ჩატარების დროს ჩინეთმა ჯარები განალაგა ვიეტნამთან მის საზღვართან. ამ დროს კი აშშ-სა და ვიეტნამს შორის დაპირისპირება იყო. რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო ძაბავდა ურთიერთობებს მათ შორის. ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი, იგივე დათბობის ეტაპი იწყება 1970-იან წლებში, როდესაც საფუძველი ეყრება „პინგ-პონგის“ დიპლომატიას. აქ საუბარია ნიქსონისა და მისი ადმინისტრაციის მმართველობაზე. 1971 წელს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ეწვია ჩინეთს ურთიერთობის სამომავლო დათბობის მცდელობით და მოლაპარაკების მიზნით, ოფიციალური ვიზიტის დროს კისინჯერი შეხვდა ჩინეთის პრემიერ მინისტრს ზოუ ენლაის. მოლაპარაკების მთავარი თემები იყო ტაივანის და ვიეტნამის საკითხები, ამერიკა ცვლიდა პოლიტიკას ვიეტნამთან დაკავშირებით, სანაცვლოდ კი

ჩინეთს საპასუხო ნაბიჯის სახით, დახმარება უნდა გაეწია შტატებისთვის ვიეტნამის ომის დასრულებაში. ამიტომ მოლაპარაკება ორივე მხარისთვის მომგებიან სახეს ატარებდა. ერთი წლის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი ნიქსონის ისტორიული და მნიშვნელოვანი ვიზიტი შედგა ჩინეთში. ამას მოჰყვა შანხაის კომუნიკეს ხელმოწერა, რომლის მთავარი საკითხებიც იყო კულტურული კავშირების განვითარება, ომის რისკის ფაქტორების შემცირება, დამყარდა აშშ-ს მუდმივი სავაჭრო მისია ჩინეთში, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დამყარდა „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკა, და დაიწყო ტაივანიდან ამერიკული ჯარების ეტაპობრივად გამოყვანა.

1978 წელს ხელი მოეწერა რიგით მეორე კომუნიკეს, პრეზიდენტ კარტერის დროს. რასაც მოჰყვა 1979 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. 1982 წელს გაფორმდა მესამე კომუნიკე, მისი მთავარი საკითხი იყო აშშ-ს მხრიდან ტაივანისთვის იარაღის მიყიდვის შეწყვეტა, თუმცა ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

მნიშვნელოვანი თარიღია 1989 წელი, როდესაც პეკინში, ტიანანმენის მოედანზე ათასობით სტუდენტმა მშვიდობიანი აქცია გამართა,დემოკრატიული რეფორმების გატარების და კორუფციის დასრულების მოთხოვნით. მთავრობა ძალის გამოყენებით შლის მომიტინგეებს და მსხვერპლის რაოდენობა ასობით სტუდენტს ითვლიდა. ამის საპასუხოდ, აშშ-ს მთავრობა აჩერებს ყოველგვარ სამხედრო გაყიდვებს ჩინეთში და ყინავს ჩინეთთან ურთიერთობებს. ცივი ომის პერიოდში ურთიერთობები მიმდინარეობდა ბიპოლარული სისტემის ფონზე, სადაც ორი გამოკვეთილი ძალა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სახით იკვეთებოდა. სწორედ ამ დროს ჩნდება ახალი სახელმწიფო ჩინეთის სახით, რომელიც ძალებს იკრებს და უკვე ციმი ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვან რეგიონულ სახელმწიფოდ ყალიბდება.

ცივი ომის საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულებამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა შტატების საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორი ჩინეთთან ურთიერთობების შესახებ, ეგ გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ახალ საერთაშორის სისტემასთან, რომელმაც ხისტი უნიპოლარული სახე მიიღო. ამ პერიოდში ჩინეთთან

ურთიერთობებში დიდი ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, განსაკუთრებით ტიანანმენის მოედანზე ადამიანის უფლებების დარღვევის შემდეგ, სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობით მსხვერპლი გამოიწვია ძალისმიერმა ქმედებებმა ხელისუფლების მხრიდა. თუმცა აქვე საგულისხმო იყო და არის სავაჭრო ინტერესები, რაც განპირობებული იყო ჩინეთის მიმზიდველობით,როგორც გასაღების ბაზრის ისე ინვესტიციების დაბანდების კუთხით. ამგვარი ეკონომიკური ინტერესების გამო ადამიანის უფლებების საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ყურადღების კონცენტრაცია მაინც კომერციულმა ინტერესებმა დაიმსახურეს. უკვე 1972 წლიდან ამერიკასა და ჩინეთის ურთიერთობებში ეკონომიკური საკითხები და კავშირები დიდ ადგილს იკავებს, მათი ეკონომიკები მეტად ურთიერთდამოკიდებული ხდება.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკამ ვეი ჯინგშენგის ციხიდან გათავისუფლების საქმეში. 1993 წლის სექტემბერში, ჩინეთმა გაანთავისუფლა პოლიტპატიმარი ვეი ჯინგშენგი, რომელიც იყო უფლებადამცველი ჩინეთში. ის დააკავეს, როგორც კონტრრევოლუციონერი აქტივისტი და ციხეში იყო 1979 წლიდან 1993 წლამდე. ამ წელს ბილ კლინტონი ჩინეთთან იწყებს „კონსტრუქციული ჩართულობის“ პოლიტიკას. თუმცა მომდევნო წელს ის კვლავ დააკავეს, რადგან არ წყვეტდა საკუთარ საქმიანობას. საბოლოო ჯამში ოთხი წლის შემდეგ, 1997 წელს, კლინტონი უზრუნველყოფს ვეის და ტიანანმენის მოედანზე გამოსული პროტესტანტის, ვანგ დენის გათავისუფლებას. პეკინმა ორივე დისიდენტს დეპორტაცია გაუკეთა შეერთებულ შტატებში. მნიშვნელოვანი თარიღია 1999 წელი, როდესაც ნატო „შემთხვევით“ ბომბავს ჩინეთის საელჩოს ბელგრადში. სერბული ძალების წინააღმდეგ განხორციელებული კამპანიის დროს. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. ნატო და შეერთებული შტატები უბოდიშებდნენ მომხდართან დაკავშირებით, თუმცა ათასობით ადამიანი ქვეყნის მასშტაბით გამოდიოდა პროტესტის გამოსახატავად, ანადგურებდა შეერთებული შტატების ოფიციალურ საკუთრებას. ამასთან

დაკავშირებით 2002 წელს შედგა შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანსა და ჩინეთის ელჩს შორის, ურთიერთობების დათბობის მცდელობით.

შეჯამების სახით, რომ ვთქვათ ცივი ომის პირველ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაძაბულია და შეგვიძლია ნეგატიურ კონტექსტში განვიხილოთ,სადაც იდეოლოგიური განსხვავებების გამო ურთიერთობების დათბობა ვერ ხერხდებოდა და ამის მცდელობაც არ იყო არცერთი მხრიდან, თუმცა გარდამტეხი აღმოჩნდა 1971 წელი, რომელიც ახალი ეტაპის ამსახველი თარიღია. მოვლენათა განვითარებამ აჩვენა ორივე სახელმწიფოს, რომ მოლაპარაკება და თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მომგებიანი შეიძლებოდა ყოფილიყო და იწყება ურთიერთობების დათბობისთვის ნაბიჯების გადადგმა. თუმცა **პოლიტიკური რეალიზმის** მიხედვით, მაშინ, როდესაც ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები, ხოლო ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ძალა, რეგულატორად გვევლინება ძალთა წონასწორობა, მუდმივად იქნება ბრძოლა ძალაუფლებისთვის, მითუმეტეს, როცა აშშ-ს გამოუჩნდა ძლიერი მეტოქე ჩინეთის სახით, რომელსაც არ სურს შეეგუოს აშშ-ს ჰეგემონობას, ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა ვერ მოხერხდება თუ არ გადანაწილდება გავლენის სფეროები და არ შეიქმნება ახალი ძალთა წონასწორობა. როგორ წარიმართება ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე, ამაზე მომდევნო თავებში ვისაუბრებთ და დავინახავთ რა თავისებურების მატარებელია მათი ურთიერთობები.

3.2 აშშ-ჩინეთის ურთიერთობების განვითარება თანამედროვე ეტაპზე

21-ე საუკუნეში ვერ იქნება ისეთი მნიშვნელობის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, როგორიც არის ამერიკის-მსოფლიოში უდიდესი ძალის და ჩინეთის-მსოფლიოში ყველაზე მზარდი სახელმწიფოს ურთიერთობები. ჩინეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკა, სამხედრო მოდერნიზაციის გაგრძელება, გავლენის გაფართოება რეგიონში და მსოფლიოში, ცვლის გეოპოლიტიკურ რელიეფს და ჩინეთის სამომავლო კურსს გაურკვეველს ხდის. 25 წლიანი „ჩართულობის“ შემდეგ თითქოს სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბების მიუხედავად, ამერიკელი საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ჩინეთის სტრატეგიული ინტერესები შეუთავსებელია ამერიკის ინტერესებთან. არსებობს მიდგომა, რომ ამერიკამ უნდა შეუწყოს ხელი და წაახალისოს ჩინეთის მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაცია, რის შედეგადაც ჩინეთის სამოქმედო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვა ამერიკის ინტერესებთან და საერთაშორისო ნორმებთან.

თანამედროვე პერიოდში ორივე სახელმწიფოსთვის საჭიროა ფრთხილი პოლიტიკის გატარება. ჩინეთი ფრთხილად უნდა იყოს საკუთარ ახლად მოპოვებულ სიძლიერესთან, არ გამოიყენოს ის ისე, რომ ავნოს ქვეყნის სამომავლო გრძელვადიან ინტერესებს. თავის მხრივ ამერიკაც ყურადღებით უნდა იყოს, გაცილებით ფრთხილი და თავდაჭერილი პოლიტიკით ჩინეთთან ურთიერთობისას. მთავარი ბერკეტი, რაც ჩინეთთან დაკავშირებით ამერიკას სჭირდება ეს არის ინვესტირება აზიაში, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური. რეგიონი მნიშვნელოვანია ქვეყნის არსებული პოზიციების შესანარჩუნებლად. ამერიკისთვის საჭირო იქნება ურთიერთობების გაღრმავება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჩნდება ისეთი

საფრთხეები და პრობლემები, რომელთა ირგვლივაც საჭიროა არამხოლოდ აღნიშნული ორი კონკურენტი სახელმწიფოს გაერთიანება, არამედ მსოფლიო საზოგადოების, მაინც არსებობს საკითხები, რომელიც იწვევს უთანხმოებას და დაძაბულობას ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებში. სახელმწიფოთა შორის დავის საგანი შეიძლება გახდეს ნავთობი, ორივე სახელმწიფო აქტიურად მოიხმარს აღნიშნულ რესურს და კონკურენცია წარმოიქმნება რესურსის შეზღუდულ წყაროებთან დაკავშირებით. ურთიერთობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რეგიონული ურთიერთობები, როგორც რეგიონში დასაყრდენის და მოკავშირის შემენის მიზნით დამყარებული ურთიერთობები. რადგან აზია არის მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც ამერიკის უდიდესი ძალის მქონე სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებისთვის, ისე ჩინეთისთვის, რომელსაც არ სურს შეეგუოს ამერიკის გავლენას აზიაში და ცდილობს გააძევოს რეგიონიდან აშშ, რეგიონის ჰეგემონი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებით. ურთიერთობები უარესდება სხვადასხვა კრიტიკულ საკითხებშიც, როგორიცაა ვაჭრობის და ტექნოლოგიების გაცვლა, ეკონომიკური პაექრობა, სამხედრო კავშირები, ტაივანი და სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონი, ბოლო დროს დავის საკითხად იქცა კორონა ვირუსის პანდემიაც, რომლის ირგვლივაც სახელმწიფოები არ წყვეტენ ერთმანეთის მიმართ ბრალდებების წაყენებას.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოები აშკარა ძალისმიერ აქტებს არ ახორციელებენ ერთმანეთის მიმართ, თუმცა მათ შორის არსებობს და ვლინდება აშკარა გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური თუ ეკონომიკურ-პოლიტიკური უთანხმოება, რომელიც რასაკვირველია , ამოდის იმ ეროვნული ინტერესებიდან და მიზნებიდან, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის, რადგან ეს ინტერესები ეკუთვნის მსოფლიოს უდიდეს ძალას და მსოფლიოში ყველაზე მზარდ ძალას.

3.2.1 ორმხრივი თანამშრომლობის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები

აშშ-ჩინეთის კომპლექსურ ურთიერთობებში, გარდა რიგ საკითხებში უთანხმოებისა, ვლინდება ინტერესთა თანხვედრაც, რაც გარკვეულწილად გამომდინარეობს **„კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების“** თეორიიდან, რომელიც უკავშირება ჯოსეფ ნაის და რობერტ კიოჰანის სახელებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა და ეს აღარ ემყარება ძირითადად სახელმწიფო ლიდერებს შორის ურთიერთობებს, წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური და სოციალური საკითხები, ურთიერთობები მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა აქტორებს შორის, ადამიანთა ჯგუფებს შორის სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. კოპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხანაში, სახელმწიფოები თანამშრომლობენ მრავალ განსხვავებულ დონეზე სხვადასხვა საკითხებში, ამიტომ ეს თეორია გულისხმობს მეტად მშვიდობიან და თანამშრომლობით საერთაშორისო სისტემას.[11] თეორიის როლი მტკიცდება და იზრდება გლობალიზაციის პირობებში, სადაც სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების დონე იზრდება, სადაც მოქმედებს ე.წ. „პეპლის ეფექტი“. აღნიშნული თეორიის ფარგლებში, ორი ქვეყნის ურთიერთობის განხილვა, იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს ის საკითხები, რის ირგვლივაც სახელმწიფოები თანამშრომლობენ. ასეთებია პირველ რიგში ეკონომიკური საკითხები, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ თანამშრომლობა, ერთად არიან ისეთი გლობალური საკითხების წინაშეც, როგორიცაა ტერორიზმი, ფინანსური კრიზისები, გლობალური

[11] აკობია ე. "*საერთაშორისო ურთიერთობების თეორია".* გამომცემლობა: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი-2006. გვ.36-37.

უსაფრთხოება, ასევე თანამშრომლობენ კიბერუსაფრთხოების ფარგლებშიც. სახელმწიფოების ურთიერთობებში ვლინდება თანამშრომლობა ეკოლოგიურ საკითხებზე, განათლების სფეროში, ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და სხვა. აღნიშნულის დასტური გახლდათ ჩინეთის პრეზიდენტის ძიატოს და ობამას შეხვედრა აშშ-ში, სადაც საუბარი იყო ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობებზე, რომ მათი, როგორც ძლიერი სახელმწიფოების ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პრეზიდენტმა გამოთქვა მზაოდა პოზიტიური და სასარგებლო ურთიერთობების განვითარებისა და უზრუნველყოფისა.

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაკტის არსებობის პირობებში, ეს უკანასკნელნი აღმოჩნდნენ ჩინეთის და ამერიკის გარკვეულწილად დაახლოების მიზეზი. მოგვიანებით 2001 წლის ცნობილი აქტი, გახდა ურთიერთობის ახალი მასტიმულირებელი მოვლენა, რის შემდეგაც თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ურთიერთობების. 2003 წელს, მას შემდეგ, რაც განამტკიცეს ურთიერთობები და თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ და კორეასთან დაკავშირებით, ქვეყნის ლიდერებმა განაცხადეს, რომ თანამშრომლობის საუკეთესო პერიოდი სწორედ აღნიშნული დრო იყო. 2008 წელს, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, ბარაკ ობამასა და მისი ოჯახის ცერემონიალზე დასწრება, კიდევ ერთი მაგალითი იყო ურთიერთობების დათბობისა და დასტაბილურებისა. ზოგადად ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაცილებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სხვა სფეროებთან შედარებით. აღსანიშნავია 2014 წლის შეთანხმება ბარაკ ობამასა და სი ძინ პინის ერთობლივი განცხადებით, რომ შეამცირებდნენ ნახშირბადის გამოყოფას.

თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია 2005 წელთან, როდესაც ამერიკა მოუწოდებს ჩინეთს გახდეს „პასუხისმგებლიანი დაინტერესებული მხარე“ , რომელიც შეიტანს საკუთარ მნიშვნელოვან წვლილს, გამოიყენებს საკუთარ გავლენებს, ისეთ სახელმწიფოებთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორებიც არიან ირანი, სამხრეთ კორეა და სუდანი. მას შემდეგ რაც ჩრდილოეთ კორეა ატარებს

პირველ ბირთვულ გამოცდას და შორდება ექვსპუნქტიან მოლაპარაკების ფარგლებს, ჩინეთი კისრულობს შუამავლის როლს,ფხენიანის მოლაპარაკების მაგიდასთან დასაბრუნებლად. ექვსპუნქტიანი მოლაპარაკება გულისხმობს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხოების საკითხების მშვიდობიან მოგვარებას. პეკინში გამართული მოლაპარაკებების სერიებში მონაწილეობდა სამხრეთ კორეა, ჩრდილოეთ კორეა, ამერიკა, იაპონია,ჩინეთი და რუსეთი. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეერთებული შტატები ასევე დაინტერესებულია ჩინეთის ჩართვით ავღანეთის პრობლემურ საკითხში. ცნობილი 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკული ჯარების ავღანეთში გამოჩენა ერთის მხრივ საფრთხის შემცველი იყო ჩინეთისთვის, თუმცა ამავდროულად ეს ხდება გარკვეული სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტი ანტიჩინური ტერორისტული დაჯგუფებების ზრდის და გავრცელების შეკავების თვალსაზრისით. შეერთებულმა შტატებმა და თალიბებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას დოჰასში, 2020 წლის 20 თებერვალს. ჩინეთს საშინაო მშვიდობის მცირე ნდობა აქვს ავღანეთში, თუმცა მისთვისაც სასარგებლო შედეგების მოტანა შეუძლია რეგიონში მდგომარეობის დასტაბილურებას, განსაკუთრებით „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ პროექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა არასტაბილურობა ავღანეთში ფუნდამენტალისტების წისქვილზე ასხამს წყალს, რაც საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთის საშინაო სტაბილურობისთვის, განსაკუთრებით სინჟიანში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ გამოიყენა საკუთარი ქმედებების გასამართლებლად უიღურებთან დაკავშირებით სინჟიანში.ბევრი ჩინური კომპანია დაინტერესებულია ავღანეთში სპილენძისა და ნავთობის რესურსებით, რაც 2008 და 2011 წლებში გამომჟღავნდა. თუ ავღანეთში მდგომარეობა გაუარესდება, ჩინეთი მოუწოდებს აშშ-ს, რომ უკეთესი იქნება ჩაერთოს ამერიკული სამშვიდობო ჯარები, სადაც ჩინური დანაყოფებიც შედის, ვიდრე ეს იკისროს რომელიმე რეგიონულმა ძალამ ცალმხრივად. სხვა მხრივ ჩინეთი მოუწოდებს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომ გაზარდოს როლი რეგიონის უსაფრთხოების საქმეში.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია არის რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ჩინეთს, რუსეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთს,ყირგიზეთს და ოფიციალურად დაფუძნდა 2001 წელს, თუმცა საქმიანობა იწყება 1996 წლიდან. ორგანიზაციას ჰყავს დამკვირვებელი: ავღანეთი, ირანი, ბელარუსი, მონღოლეთი და პარტნიორი სახელმწიფოები: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, კამბოჯა,ნეპალი,შრი-ლანკა. ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, როგორც ნატოს საპირწონე სამხედრო ორგანიზაცია აზიაში და გარკვეულწილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მოწინააღმდეგე ორგანიზაციადაც კი გვევლინება. ორივე ორგანიზაციას აქვთ გეოპოლიტიკური ინტერესები ცენტრალურ აზიაში. თუმცა ნატოსთან შედარებით აზიურ გაერთიანებას ნაკლები სამხედრო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, ის მოქმედებს ტერორიზმის, ექსტრემიზმის, რადიკალიზმის წინააღმდეგ და აქვს პოტენციალი, რომ აღნიშნული მიმართულებით არა რეგიონულ, არამედ გლობალურ დონეზე აწარმოოს საქმიანობა, საგულისხმოა ორგანიზაციის როლი 2008 წელს ავღანეთშიც. ორგანიზაცია გეგმავს მედიატორული როლის ზრდას ავღანეთში, სირიაში, ახლო აღმოსავლეთში და კორეაში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური განცხადების მიხედვით SCO არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული, ის მაინც მოიაზრება გარკვეულწილად აშშ-ს ჰეგემონობის და გავლენის შემზღუდველ ორგანიზაციად. 2006 წელს, როდესაც ირანი,რომელიც აშშ-მ შერაცხა ტერორიზმის ყველაზე დიდ დამფინანსებელ სახელმწიფოდ, დაამტკიცეს, როგორც დამკვირვებელ ქვეყანად ორგანიზაციაში, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის, ეს ნაბიჯი აღიქვა დასავლეთმა ნეგატიურად და კიდევ უფრო გაამყარა ზემოთხსენებული დამოკიდებულება SCO მიმართ,რომ ნატოს საწინააღმდეგო ორგანიზაციის სახეს ატარებს. ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს, ამერიკის გაღიზიანება გამოიწვია ირანის პრეზიდენტის მიწვევამ შანხაიში SCO-ის სამიტზე 2006 წელს. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ რუსეთი არის დამკვირვებელი სახელმწიფო ნატოში და ასევე ამერიკას და ევროპას აქვს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან. როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი ამბობს, SCO გახდა

ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური ორგანიზაცია აზიაში და ამერიკამ უნდა იფიქროს მოლაპარაკებებზე თუ არ სურს, რომ დამამცირებელი მარცხი იგემოს პეკინიდან ან მოსკოვიდან.[12] ინდოეთის და პაკისტანის ორგანიზაციაში გაწევრიანების იდეამ კიდევ უფრო აღაშფოთა დასავლეთი. უნდა ითქვას, რომ სტამბულის 2004 წლის სამიტზე ნატოს მხრიდან გაცხადებულ იქნა ინტერესი ცენტრალური აზიის რეგიონის მიმართ, სადაც სამოქმედო სივრცე აქვს SCO-ს. რეალურად აზიურ გაერთიანებას არ შესწევს უნარი გახდეს ე.წ. აზიური ნატო, რადგან მისი წევრი სახელმწიფოების ოდენობის ზრდა, საფრთხეს შეუქმნის საერთო კოორდინაციას და შეთანხმებას საკვანძო იდეებზე, საფრთხეს შეუქმნის ორგანიზაციის მდგრადობას. მეორეს მხრივ ორგანიზაციას ნამდვილად შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი აზიაში სტაბილურობის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. 2005 წელს ორგანიზაციამ შექმნა ავღანეთში საკონტაქტო ჯგუფი, ორგანიზაციამ 2007 წელს ბიშკეკში გამართულ სამიტზე შეშფოთება გამოთქვა ავღანეთში დესტაპილიზაციის მაღალი დონის გამო, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნიდა აზიის სტაბილურობას. აქედან გამომდინარე ცენტრალური აზია ხდება რეგიონი, სადაც ერთდროულად მოქმედებენ რუსეთის, ნატოს და SCO-ს ჯარები, თუმცა ნატოს არ აქვს ოფიციალური ინსტიტუციური კავშირები არც აზიურ ორგანიზაციასთან და არც ჩინეთთან. 2004 წელს ნატომ გამოთქვა სურვილი, რომ სურს ჩინეთთან თანამშრომლობა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ და ეს არის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება, სადაც მოიაზრება ავღანეთი და ერაყი. 2008 წელს თანამშრომლობის მზაობა აღნიშნულ საკითხებში, გამოთქვა SCO-ს გენერალურმა მდივანმა ბოლატ ნურგალიევმა და დაამატა, რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ არსებობს მათ შორის. ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობაზე პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმა

[12] S.B. Stambulov. A.S. Zhukenova. Mondira Dutta „SCO and NATO: comparative evaluation of the activity in the foreign research" P.1. https://articlekz.com/en/article/14213 (ნახვის დრო 26.04.2020.)

განაცხადა, რომ თუ SCO ავღანეთში სამშვიდობო მისიით ჩაერთვებოდა, არ იარსებებდა მიზეზი ნატოს დაპირისპირებისა აზიურ ორგანიზაციასთან. 2008 წელს ნატოს, SCO-სა და აშშ-ს შორის შესაძლო ურთიერთობების შესწავლის მიზნით შეიქმნა საერთაშორისო კონფერენცია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ აშშ-ს წარმომადგენლის მიწვევა SCO-ს მე-10 სამიტზე, მეტყველებს სამომავლოდ ურთიერთობის დათბობის მცდელობაზე.

ნატოს და აზიურ ორგანიზაციას შორის არსებული კონკურენცია შეგვიძლია ავხსნათ **„ევრაზიანიზმის“** და **„ატლანტიზმის“** გეოპოლიტიკური თეორიების გამოყენებითაც. ამგვარი მსჯელობით ნათლად ჩანს, რომ ხმელეთის ძალები და ზღვის ძალები მუდმივ უთანხმოებაში იყვნენ და ტენდენცია მეტყველებს, რომ კვლავ ასე გაგრძელდება. აქ საუბარია ერთი მხრივ დასავლურ ცივილიზაციაზე, ამერიკაზე, ევროპის სახელმწიფოებზე, რომლებიც სამხედრო-სტრატეგიული გაგებით ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან. მეორეს მხრივ ევრაზიულ მატერიკზე, სადაც განსაკუთრებული მდებარეობა აქვს რუსეთს, თუმცა მასთან ერთად უკვე მოიზრება რიგი სახელმწიფოები, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი...სადაც ამ შემთხვევაში გვაქვს ევრაზიული ძალა, SCO. ატლანტიზმის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მთავარი ძალა საზღვაო ძალაა და სწორედ აქედან შედის ცივილიზაცია კონტინენტურ ნაწილზე. ევრაზიული ძალა, როგორიცაა რუსეთი, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირს და დასავლურ სამყაროს, ასეთ ევრაზიულ ძალად უკვე ისახება ჩინეთი და ირანიც. შესაბამისაც არსებული გეოპოლიტიკური უთანხმოების გაგებაში აღნიშნული გეოპოლიტიკური თეორიებიც გვეხმარება. აქ მნიშნელოვანი საკითხია რამდენად განსხვავდება იდეოლოგიურად ევრაზიული და ატლანტიკური ძალები და რამდენად შეუძლებელია მათ შორის მშიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნატოს და SCO-ის, როგორც „ატლანტიკური“ და „ევრაზიული“ ძალების თანამშრომლობით, მრავალი რეგიონალური თუ გლობალური პრობლემების მოგვარება გახდება შესაძლებელი. ფაქტია, რომ SCO-ს

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზიაში, როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო თუ გეოპოლიტიკურ ორგანიზაციას. ნატოსა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას შორის დაპირისპირებას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგის გამოწვევა შეუძლია ევრაზიისთვის და მსოფლიოსთვის. მათ შორის დაახლოების და თანამშრომლობის პროცესს კი გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა ძალუძს, თუმცა ამ პროცესის ხელის შემშლელად რუსეთი შეიძლება გამოვიდეს, რადგან მას აშშ-სა და ნატოს ადგილი არ ეგულება ევრაზიაში არათუ აზიაში, მაგრამ მეორე ფაქტორია, რომ ჩინეთი ასევე მნიშნელოვანი რეგიონული სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია დასძლიოს აღნიშნული წინააღმდეგობა. ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სიტუაციის დასტაბილურება ავღანეთში, სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მომზადება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკოვაჭრობის და ზოგადად რეგიონის სტაბილურობის და მშვიდობის უზრუნველყოფა.

საბოლოოდ, ორ ქვეყანას შორის არსებული იდეოლოგიური თუ გეოპოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, ხდება გაცნობიერება იმ გლობალური გამოწვევების ირგვლივ თანამშრომლობის აუცილებლობის, როგორებიცაა: მასობრივი განადგურების იარაღი, ეკონომიკური კრისიზები, ტერორიზმი, კლიმატური ცვლილებები, კიბერთავდასხმები და სხვა გლობალური სახის მატარებელი პრობლემები, რომელთან წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისი არაა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს მცდელობები, მნიშვნელოვანი შედეგის გამოღება მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობას შეუძლია, განსაკუთრებით ისეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოების, როგორებიცაა აშშ და ჩინეთი.

3.2.2 ორმხრივი თანამშრომლობის ეკონომიკური ასპექტები სავაჭრო ურთიერთობების მაგალითზე

ჩინეთისა და ამერიკის ურთიერთობებში, მას შემდეგ, რაც მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ეკონომიკურ ასპექტებს დიდი ადგილი უჭირავთ, მეტიც ეკონომიკური თანამშრომლობა პირველ ადგილს იკავებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკონომიკა მსოფლიოში წამყვან დარგად იქცა და ყველაფერი რაც სახელმწიფოს ძლიერებას უკავშირდება, ეკონომიკას ემყარება. ამერიკა და ჩინეთი ისეთი ეკონომიკური ძალის მატარებლები არიან, რომ მათი ურთიერთობა არა მარტო საკუთარ, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზეც ახდენს გავლენას. 2000 წელს იწყება სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზება, კლინტონის მიერ ჩინეთთან დადებული აქტის საფუძველზე, ხოლო მომდევნო წელს აშშ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაშიც ეხმარება ჩინეთს. 2004 წლამდე 1980 წლიდან მოყოლებული, მათ შორის ვაჭრობა 5 მილიარდი დოლარიდან 231 დოლარამდე გაიზარდა. 2006 წლიდან ჩინეთი კანადის შემდეგ ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი გახდა ამერიკისთვის. უკვე 2008 წელს ჩინეთი ხდება უმსხვილესი კრედიტორი შეერთებული შტატების, შესაბამისად სახელმწიფოების ეკონომიკები მეტად ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან. თუმცა ურთიერთობების ამ სფეროშიც ვლინდება გარკვეული დაძაბულობა. შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი 273.1 ამერიკული დოლარიდან 2010 წელს გაიზარდა და 2011 წელს 295.5 დოლარამდე აიწია. ამერიკამ, ევროკავშირმა და იაპონიამ ჩინეთის მიმართ შეიტანეს მოთხოვნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ლითონების ექსპორტირებასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთი არღვევს საერთაშორისო სავაჭრო ნორმებს და რეგულაციებს და აიძულებს მრავალეროვნულ კომპანიებს გადავიდნენ ჩინეთში. ამ ნაბიჯს ჩინეთი აფასებს, როგორც უსამართლოს. ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო დისბალანსი ამერიკის უკმაყოფილების მიზეზი ხდება, 2017 წელს სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან 375 მილიარდი დოლარი გახდა. ამის მნიშვნელოვანი ფაქტორი

გახდა ჩინური ეროვნული ვალუტის, იუანის, ხელოვნურად გაუფასურება. ეროვნული ვალუტის სიიაფე რასაკვირველია, აიოლებს და ზრდის ექსპორტს, რაც თავის მხრივ ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩინეთი 2007-2009 წლების ეკონომიკურ კრიზისს უყურებდა, როგორც ამერიკისაგან ხელოვნურად გამოწვეულს, რადგან ჩინეთი ყველაზე დიდი მფლობელია ამერიკული ვალისა და სავალუტო რეზერვების. მნიშვნელოვანია, რომ ამერიკა ნედლეულს ჩინეთში აგზავნის იქ პროდუქციის შექმნის და მუშა ხელის სიიაფის გამო,ხოლო მზა პროდუქტის უკან მიღება რასაკვირველია უკვე იმპორტია და ამის გამოა, რომ დეფიციტი მზარდია. მნიშვნელოვანია 2017 წლის სავაჭრო შეთანხმება, რის მიხედვითაც ჩინურ ბანკებს ეძლევათ საშუალება ამერიკულ ბაზარზე მოღვაწეობის.

ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, შტატები ტარიფებს აწესებს ჩინურ პროდუქციაზე, იმ ბრალდებით, რომ ჩინეთი ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ საკუთრებას იპარავს და ზეწოლით აიძულებს უცხოურ კომპანიებს გადასცეს მას ტექნოლოგიები, ასევე შეიზღუდა გარკვეული ჩინური ინვესტიციები ქვეყანაში. საქმე იმაშია, რომ უცხოურ კომპანიებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ავტოინდრუსტრია, არ შეუძლიათ საქმიანობა ჩინეთში, თუ არ გაერთიანდებიან ადგილობრივ კომპანიებთან სადაც დიდი წილი სწორედ ადგილობრივ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ. შესაბამისად, აქედან გამომდინარე ჩინურ კომპანიებს აქვთ სრული წვდომა ტექნოლოგიებსა და პატენტებზე, რის შემდეგაც იქმნება ჩინური, საკუთარი პროდუქცია. ჩინეთი საპასუხო ტარიფებს აწესებს ამერიკულ მთელ რიგ პროდუქციაზე, რაც იწვევს ამერიკის და მსოფლიოს აღშფოთებას და საუბარი იწყება „სავაჭრო ომზე“, რომელიც 2018 წლის ზაფხულში დაიწყო ორ უძლიერეს ეკონომიკურ ძალას შორის.

2018 წლის ივლისში ტრამპის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ტარიფები გავრცელდა 34 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელზე. 800-ზე მეტ ჩინურ პროდუქციაზე, ინდუსტრიულ და სატრანსპორტო სექტორში, დაწესდა 25

პროცენტიანი საიმპორტო გადასახადიც. სამაგიეროს გადახდას ჩინეთი 500-ზე მეტ ამერიკულ პროდუქციაზე ტარიფების დაწესებით ახერხებს, რომელთა საერთო ღირებულება 34 მილიარდ დოლარამდე მერყეობს, მათ შორის რძის, ზღვის პროდუქტების და სოიოს.[13]ტრამპის ადმინისტრაციის აზრით ჩინეთი ცდილობს ამერიკა გააძევოს სავაჭრო სივრციდან და ის თავისუფალი სავაჭრო წესებით ცდილობს დააზიანოს ჩინეთში ამერიკული კომპანიები. 2018 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ევროპის კომისიამ შეიტანა სარჩელი ჩინეთის წინააღმდეგ, რომ ჩინეთი აიძულებს ევროპულ კომპანიებს გადასცეს ჩინეთს ტექნოლოგიები და ასევე შექმნან განვითარების და კვლევის ცენტრები, რაც ევროპის კომისიის თქმით არღვევს თავისუფალი ვაჭრობის წესებს და დადგენილ ნორმებს.[14] 2018 წლის დეკემბრამდე ორი სახელმწიფო ერთმანეთის საპასუხოდ უმატებდა ტარიფებს და მათი ეკონომიკური დაძაბულობა მწვავდებოდა.

მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „ჰუავეის“ ინციდენტმა აშშ-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, როდესაც კომპანიის მთავარი ფინანსური ოფიცერი დააკავეს კანადაში ამერიკის მოთხოვნით. ბრალდება იყო, რომ ჰუავეიმ დაარღვია ირანის წინააღმდეგ მოქმედი სავაჭრო სანქციები. ჩინეთის მხრიდან ეს აღქმულ იქნა, როგორც სერიოზული პოლიტიკური ინციდენტი და დაუყოვნებლივ ითხოვდნენ მენგის განთავისუფლებას. ტრამპის ადმინისტრაცია აგრესიულ კამპანიას იწყებს და მიუთითებს სახელმწიფოებს უარი თქვან „ჰუავეის“ გამოყენებაზე. საბოლოოდ ამერიკა უცხოური კომპანიების შავ სიაში ამატებს „ჰუავეის“. ამერიკა აღნიშნულ ნაბიჯს, ერუვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადადგმულ ნაბიჯად აფასებს, თუმცა ცხადია მაინც ეკონომიკურ მიზეზზე გავდივართ, ამ გზით ცდილობს

---

[13] Consil on foreign relations. U.S. “Relations with China”. P.1. https://www.cfr.org/timeline/us-relations-china?fbclid=IwAR2rOQffEIRuP5zawUaWrmifAJWcsAbszEN3driSBsdOXKeEntTmAFVt3Bs (ნახვის დრო 5.05.2020)

[14] ფიფია ნ. „ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი.“ გამომცემლობა: *საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი.* თბილისი-2019. გვ.2.

დაიცვას საკუთარი კომპანიები კონკურენციისგან, მითუმეტეს რომ ჩინური პროდუქცია ფასების გამო საკმაოდ მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა.

სავაჭრო ომი 2019 წელსაც გაგრძელდა. პეკინი აკრიტიკებს აშშ-ს ეკონომიკურ ქმედებებს და თვლის, რომ ტარიფები გლობალურ ბაზარზე არეულობას გამოიწვევს. 2019 წელს, ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტზე დაყრდნობით, სავაჭრო დეფიციტმა მიაღწია 600 მილიარდზე მეტს.[15] სექტემბერში გაზრდილი ტარიფები მოიცავდა აშშ-ჩინეთის ორმხრივი ვაჭრობის 70%-ს.

2020 წლის იანვარში, ტრამპი და ჩინეთის პრემიერ მინისტრი ხელს აწერენ შეთანხმებას ორ წლიანი სავაჭრო ომის დასრულების თაობაზე. შეთანხმება ამცირებს ტარიფებს ჩინეთის იმპორტზე, თუმცა ჩინეთმა ორი წლის განმავლობაში უნდა შეიძინოს 200 მილიარდი აშშ დოლარის ამერიკული საქონელი, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და მანქანები. ჩინეთი ასევე იღებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვალდებულებას. სავაჭრო ომმა დადო თავისი შედეგები, ჩინეთი აუქმებს კანონს 2018 წელს, რომლის თანახმადაც ავტოინდუსტრიის და გემთმშენებლობის კომპანიებს ადგილობრივ კომპანიებთან ერთად უნდა ემუშავათ.

საბოლოო ჯამში სავაჭრო ომმა გავლენა მოახდინა არამარტო საკუთრივ მოცემულ სახელმწიფოებზე, არამედ მსოფლიო ეკონომიკურ სურათზე, მითუმეტეს თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ სახელმწიფოთა ურთიერთობების გათვალისწინებით. აშკარაა, რომ არსებულმა სავაჭრო დავამ საგრძნობლად შეამცირა სავაჭრო ნაკადები აშშ-სა და ჩინეთს შორის. გაიზარდა ევროკავშირის საბაზრო წილი შეერთებულ შტატებში. არსებული ტარიფების სერიების წყალობით იზრდება სავაჭრო გაურკვევლობის ინდექსი, რაც არასტაბილურობას იწვევს გლობალური ბაზრის, აქვე მნიშვნელოვანია სავალუტო მანიპულაციები, რისი კარგი მაგალითიც არის ჩინეთის ეროვნული ვალუტის ხელოვნურად დაბლა დაწევა ექსპორტის ზრდის მიზნით. 2019 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც საუბარი იყო

[15] ფიფია ნ. „ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი.“ გამომცემლობა: *საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი.* თბილისი-2019. *გვ.6.*

გლობალური ვაჭრობის წინაშე არსებულ რისკებზე, მთავარ საფრთხედ კი აღიარებული იყო აშშ-ჩინეთის სავაჭრო დაპირისპირება. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით 2018 წელს მსოფლიო ვაჭრობა 2.5%-ით დაზარალდა ამერიკა-ჩინეთს შორის სატარიფო ბარიერების თამაშით. ვიცით, რომ აშშ და ჩინეთი ქმნიან გლობალური შიდა პროდუქტის 40 პროცენტს და მსოფლიო ვაჭრობის 20 პროცენტს. ამერიკა-ჩინეთის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის, რადგან ეს არის ურთიერთობები დომინანტ ლიდერ სახელმწიფოსა და პოტენციურ ჰეგემონ სახელმწიფოს შორის. სავაჭრო დავებთან დაკავშირებული გაურკვევლობა გამოიწვევს ინვესტიციების ზრდის შემცირებას, 2017-18 წლებში 3.55-დან 2019-20 წლებში 1.75-მდე.[16] ამას პროგნოზირებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და მასთან ერთად სავალუტო ფონდი მოუწოდებს ორივე სახელმწიფოს დაარეგულიროს და მოაწესრიგოს არსებული დაძაბულობა. საბოლოო ჯამში, გრძელვადიანი ეკონომიკური დაპირსპირება იწვევს მეტ მარცხს და შესაძლოა ათწლეულების მანძილზე მოპოვებული პროგრესი წაშალოს.

აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ 2.5 %-ით უკვე დაზარალდა მსოფლიო ვაჭრობა ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო უთანხმოების ნიადაგზე, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მსოფლიოზე და რიგ გლობალურ პროცესებზე. ამ არსებული მაგალითის საფუძველზე, შესაძლოა რიგმა სახელმწიფოებმა გადახედონ საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას და გლობალურ სავაჭრო პროცესებში ღრმა ჩარევის ნაცვლად, საკუთარი ბაზრის დაცვაზე შეაჩერონ არჩევანი.

[16] Thoms Anahita. ,,Why trade wars have no winners". P.1. https://www.weforum.org/agenda/2019/11/who-benefits-from-a-trade-war/ (ნახვის დრო 6.05.2020)

3.2.3 კორონა ვირუსის გეოპოლიტიკა და აშშ-ჩინეთის ახალი „ცივი ომი“

ურთიერთობებში დაძაბულობა გაზარდა კორონა ვირუსის პანდემიამ. ვირუსი პირველად დაფიქსირდა 2019 წლის დეკემბერში, ჩინეთში. ოფიციალურად, ვირუსით პირველი დაინფიცირებული პირი იყო ადგილლობრივ ბაზარზე ზღვის პროდუქტებით მოვაჭრე ქალბატონი. ქვეყანაში დაინფიცირებულთა რაოდენობამ 2020წლის 10 ივნისის მონაცემებით, გადააჭარბა 83 ათასს, ხოლო ლეტალური შემთხვევების რაოდენობამ 4 ათასს. ამერიკამ აკრძალა ყველა იმ არაამერიკელი მოქალაქის შესვლა ქვეყანაში, რომელიც იმყოფებოდა ჩინეთში, სადაც პირველად დაფიქსირდა ვირუსი, კონკრეტულად ვუჰანში. მარტის თვეში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს ვირუსს პანდემიად, რომელიც 100-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა,თუმცა საბოლოოდ 200-ზე მეტი სახელმწიფო მოიცვა.

ამერიკა პანდემიის გავრცელებაში ჩინეთს ადანაშაულებს და ამბობს, რომ ის ხელოვნურად შეიქმნა და გავრცელდა ვუჰანის ლაბორატორიიდან. ჩინეთის მიმართ გაჟღერდა კიდევ ერთი ბრალდება, რომ მან დამალა ვირუსის გამოვლენის ფაქტი ადრეულ ეტაპზე და არ გაამჟღავნა. აქ საინტერესოა ჩინელი ექიმის, ლი ვენიანგის ამბავი, რომელმაც პირველმა გაავრცელა ვირუსის შესახებ ინფორმაცია და კოლეგებს აცნობა ამის შესახებ, თუმცა ექიმი დაადანაშაულეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში და გაფრთხილება მისცეს. მოგვიანებით ექიმი დაავადდა და გარდაიცვალა აღნიშნული ვირუსით. ვირუსმა დიდი ზიანი და მსხვერპლი მოუტანა ამერიკას, 2020 წლის 10 ივნისის მონაცემებით 2 მილიონზე მეტი დაინფიცირებული და 114 ათასზე მეტი გარდაცვლილი, ვირუსის ამგვარ მასშტაბებში ჩინეთს ადანაშაულებს. ოდნავ მოგვიანებით, მაისის თვეში, შტატები ახალი ბრალდებით გამოდის, კიბერუსაფრთხოების და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების სააგენტოს ინფორმაციით ჩინეთს ადანაშაულებს ვირუსის კვლევების, მედიკამენტებისა და ვაქცინის შესახებ ინფორმაციის მოპარვის მცდელობაში. ჩინეთი უარყოფს ბრალდებებს და თავისმხრივ ვირუსის ჩინეთში ჩატანას ამერიკელ ჯარისკაცებს

აბრალებს, ხოლო ტრამპის მსგავს ბრალდებებს პოლიტიკურ სვლად აფასებს და მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს, რათა მოიპოვოს გამარჯვება ჩინეთთან ამგვარი წინააღმდეგობის გზით. ასევე ხაზს უსვამს ჩინეთის პირველობაზე ვირუსის წინააღმდეგ მუშაობასა და ვაქცინის შემუშავების საქმეში. ტრამპი თლის, რომ ჩინეთი მის დემოკრატ მეტოქეს უჭერს მხარს, იმ ეკონომიკური ზეწოლის გამო, რაც ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ტარიფების დაწესებით მიადგა ჩინეთს და თვლის, რომ ჩინეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს, რისიც თავად ტრამპს არ სჯერა. აღსანიშნავია, რომ „ჯანმო“ ჩინეთის გამჭვირვალობაზე და მის ეფექტურ მუშაობაზე საუბრობდა ვირუსთან დაკავშირებით. აპრილის თვეში იწყება კრიტიკა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმართულებით, მას ჩინეთთან ერთად ადანაშაულებდნენ ვირუსის გავრცელებაში. იაპონიამაც დაიწყო ორგანიზაციის კრიტიკა და მას „ჯანდაცვის ჩინეთის ორგანიზაცია“ უწოდა. თავისმხრივ ტაივანიც გამოდის მსგავსი ბრალდებით, რომელმაც ორგანიზაციას ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის შესახებ დეკემბერში აცნობა, თუმცა ორგანიზაცია ვირუსის აღნიშნულ მახასიათებელს იანვრის შუა რიცხვებშიც არ ადასტურებს. ტრამპი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ადანაშაულებს ჩინეთის მიმხრობაში და აჩერებს თავის დაფინანსებას ორგანიზაციაში. ჩინეთი გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ვირუსის წარმოშობის გარკვევაში, ხოლო ამერიკის მიმართულებით გამოთქვამს უკმაყოფილებას, თუ რატომ აყენებს მსგავს ბრალდებას მტკიცებულების გარეშე. განვითარებულმა სიტყვიერმა „ომმა“ შესაძლოა კიდევ უფრო დაძაბოს ურთიერთობა მათ შორის.

საინტერესოა, რამდენად სანდოა შეთქმულების თეორია კორონა ვირუსთან დაკავშირებით. რამდენად რეალურად შეიძლება იყოს აშშ ან ჩინეთი ვირუსის გავრცელებით დაინტერესებული.

ჩინეთი, რომლის მშპ 14 ტრილიონს უახლოვდება, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზებას ეკონომიკური ძალით ცდილობს, 2019

წლის მონაცემებით შორეულ აღმოსავლეთში ნომერ პირველი ექპორტიორია, მსოფლიო ბაზარზე 2 ტრილიონზე მეტი ღირებულების ექსპორტი განახორციელა, რაც თავისი კონკურენტი სახელმწიფოს-აშშ-ს მაჩვენებელს 1,5-ჯერ აღემატება. რა შედეგები მოუტანა ვირუსმა ჩინეთს, რის გამოც ის ვირუსის გავრცელებით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული? კორონა ვირუსის გამო ექსპორტი 13,3%-ით შემცირდა, ასევე შეილახა მისი რეპუტაცია, როგორც ვირუსის გამავრცელებელი სახელმწიფოს. ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი ტრანსნაციონალური კომპანიები საკუთარი კაპიტალის გატანას ცდილობენ ჩინეთიდან და რიგი სახელმწიფოები გარკვეული ეკონომიკური სანქციების ამოქმედებასაც ითხოვენ ჩინეთის წინააღმდეგ. არამგონია პეკინს ვერ გაეთვალა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო შედეგები.

რაც შეეხება **აშშ-ს.** 2018-2019 წლებში არსებული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ამერიკამ და ჩინეთმა 2019 წლის ბოლოს მიაღწიეს და გააფორმეს ახალი შეთანხმებები, რომლებიც სავაჭრო ბარიერების მოხსნას ეხებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ აშშ-ს პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთში 100 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად ამერიკას ნამდვილად შეეძლო გაეთვალა, რომ ვირუსის ხელოვნურად ჩინეთში შეტანა ამერიკაზეც მოახდენდა ნეგატიურ გავლენას. „ბიბისის“ ცნობით უმუშევრობის დონე 14,7%-ით გაიზარდა და 20-მა მილიონმა ადამიანმა დაკარგა საკუთარი სამუშაო ადგილი. ასევე 2020 წელს აშშ-ს ეკონომიკა 3%-ით შემცირდა.

ვირუსმა ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიოზე, არამარტო გამოწვეული ადამიანური მსხვერპლის გამო, არამედ ეკონომიკურადაც. შემცირდა თითქმის ყველა სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ტემპი, აქციების ფასები ისე მკვეთრად დაეცა, რომ 2008-2009 წლის ეკონომიკური კრიზისის შედეგებსაც კი გადაასწრო, შენელდა ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტივობა, რამაც თავის მხრივ საფონდო ბირჟებზე პანიკა გამოიწვია, უდიდესი კომპანიების ღირებულება, მაგალითად Apple და Microsoft, შემცირდა 300-350 მილიარდით. მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა

ვირუსმა ნავთობის ფასზე, ვირუსის გავრცელების წყალობით ფასმა უარყოფით ნიშნულს მიაღწია, რაც რასაკვირველია, ერთის მხრივ ჩინეთში ნავთობზე მოთხოვნის დაცემამაც განაპირობა. აპრილის თვეში ისტორიული ნიშნული 0.01 აშშ დოლარი დაფიქსირდა.ზიანი მიადგა ტურიზმსაც, სახელმწიფოების მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და ჩაკეტილი საზღვრების გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარკვეული პოზიტიურო შედეგიც დადგა კაცობრობის წინაშე, ატმოსფერო შედარებით გასუფთავდა, საგრძნობლად იკლო ნახშირბადის ოდენობამ ჰაერში, წყლები დასუფთავდა, რაც ყველაზე კარგად ვენეციაში გამოჩნდა, ვირუსმა გარკვეული ეკოლოგიური პლიუსები გვაჩვენა და შეცვალა სახელმლწიფოთა დამოკიდებულება რიგ საკითხებზე, მათ შორის მსოფლიოს აჩვენა, რომ თანამშრომლობას და მშვიდობიან თანაარსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთო, გლობალური გამოწვევების წინაშე.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში ამერიკის და ჩინეთის, „ლიდერი სახელმწიფოს“ და მისი „კონკურენტი“ ქვეყნის ურთიერთობებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათი ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენს, როგორც რეგიონული, ისე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ქვეყნებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი, იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური უთანხმოება, დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს მსოფლიოს და არსებულ მსოფლიო წესრიგს. მათ შორის უთანხმოების ესკალაცია შეარყევს მსოფლიო მშვიდობას და გამოიწვევს სტაბილური საერთაშორისო სისტემის ნგრევას, მითუმეტეს გლობალიზაციის და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, როდესაც მსოფლიო ავლენს „გლობალური სოფლის“ სახეს.

პირველი საკვლევი კითხვის პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოში გავლენის სფეროების გაფართოების და ძალთა გადანაწილების პარალელურად იცვლება საერთაშორისო სისტემის ფორმა. ცივი ომის შემდეგ სამყარო გახდა ხისტი უნიპოლარული, სადაც აშშ მოგვევლინა მთავარ ძალად და „სუპერსახელმწიფოდ“. თუმცა დღეს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენა, რომ ასპარეზზე გამოვიდნენ რიგი აღმასვლის გზაზე მდგარი სახელმწიფოები, უნიპოლარული სამყაროს მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მითუმეტეს ჩინეთის ისეთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ, რომელსაც გაუჩნდა პრეტენზია ჰეგემონი სახელმწიფოს სტატუსის მიღებისა, რომელსაც სურს ამერიკა გააძევოს აზიის რეგიონიდან და აქ იქცეს რეგიონის ჰეგემონ სახელმწიფოდ, ამისათვის რბილი ძალის გამოყენება საუკეთესო გზად დაისახა ჩინეთმა და ეკონომიკური ნაბიჯებით ცდილობს გაიმყაროს პოზიციები რეგიონში. ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო აღარ ატარებს უნიპოლარულ სახეს. მართალია ,ამერიკა რჩება წამყვან სახელმწიფოდ, თუმცა მასთან ერთად მსოფლიოს ყავს ისეთი ძლიერი

და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო ჩინეთის სახით, რომელსაც თავად ამერიკა გამოწვევად და საფრთხედ აღიქვამს. მსოფლიომ დაკარგა უნიპოლარული სახე და ყალიბდება მულტიპოლარული სისტემა.

მეორე საკვლევ კითხვას რაც შეეხება, აშშ-ჩინეთის ურთიერთობებზე საუბარი ცივი ომის დროიდან იწყება. იმ დროიდან დღემდე, ურთიერთობები კომპლექსურობით ხასიათდება, იკვეთება, როგორც თანამშრომლობის, ისე დაპირისპირების და უთანხმოების ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობები 1972 წლიდან იწყება და თითქოს დათბობის ტენდენცია ინერგება, მაინც თანამშრომლობის გზაზე მუდმივად თავს იჩენდა გარკვეული ხასიათის უთანხმოებები. ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ადგილი აქვს, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ, ასევე გეოპოლიტიკურ უთანხმოებებს. ჩინეთს სურს 2049 წლისთვის იყოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, რაც თავისთავად ცხადია, რომ შტატებისთვის საფრთხის შემცველია. ერთიანი ჩინეთის იდეა საკმაოდ რისკის შემცველია „სუპერსახელმწიფოსთვის“ ისევე, როგორც ჩინეთის სამხედრო სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები თანამშრომლობენ ისეთი გლობალური საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა, მაინც ვლინდება და შეიძლება ითქვას, რომ მწვავდება უთანხმოებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონზე გავლენის მოპოვება, ტაივანის საკითხი, ადამიანის უფლებების სფერო, „სავაჭრო ომი“ - ეკონომიკური კონკურენცია, აზიაში გავლენის სფეროს გაფართოება, სამხედრო კონკურენცია, უთანხმოება თავს იჩენს ირანთან დაკავშირებითაც. საბოლოო ჯამში, მიუხედავად კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებისა, სახელმწიფოები მაინც კონკურენტულ ჭრილში ურთიერთქმედებენ, თანამშრომლობის ასპექტებიც კი შეიცავს უთანხმოებას და გეოპოლიტიკურ ჭიდილს, ამის კარგი მაგალითია ისეთი დიდი გლობალური

გამოწვევის და საფრთხის ფონზე გამოვლენილი უთანხმოება, როგორიც არის კორონა ვირუსი,სახელმწიფოები აქტიურად უყენებენ ერთმანეთს რიგ ბრალდებებს. რასაკვირველია მათი ამგვარი უთანხმოება აისახება მსოფლიოზე და საერთაშორისო სტაბილურობას საფრთხეს უქმნის, ეს კარგად ჩანს „სავაჭრო ომის“ გავლენით მსოფლიო ეკონომიკაზე, ასევე სამხრეთ ჩინეთის ზღვის არასტაბილურობით და კიბერთავდასხმებით, შესაძლოა მათ უთანხმოებამ და კონკურენციამ კვლავ გამოიწვიოს მსოფლიოს ბანაკებად დაყოფა, რაც საბოლოო ჯამში გლობალური მშვიდობის რყევას და ნგრევას მოასწავლებს.

მესამე საკვლევ კითხვაზე პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ ურთიერთობებს, სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულნი არიან ეკონომიკური თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ აშშ-ჩინეთი გლობალური შიდა პროდუქტის 40 პროცენტს ქმნის და მსოფლიო ვაჭრობის 20 პროცენტს უზრუნველყოფს, მიანიშნებს რამდენად მნიშვნელოვანია და რა გავლენის მოხდენა შეუძლია „სავაჭრო ომს“ მსოფლიო ეკონომიკაზე. 2019 წელს გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, წინა წელს მსოფლიო ვაჭრობა 2.5%-ით დაზარალდა ამერიკა-ჩინეთს შორის სატარიფო ბარიერების თამაშით. ანგარიშში მთავარ ეკონომიკურ საფრთხედ სწორედ აშშ-ჩინეთის სავაჭრო დაპირისპირება იყო აღიარებული. ამის გამო სახელმწიფოებმა შესაძლოა გადახედონ საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას და გლობალურ სავაჭრო პროცესებში ღრმა ჩარევის ნაცვლად, საკუთარი ბაზრის დაცვაზე შეაჩერონ არჩევანი. არსებულმა სავაჭრო დავამ საგრძნობლად შეამცირა სავაჭრო ნაკადები აშშ-სა და ჩინეთს შორის. შეამცირა ინვესტიციების ნაკადების ზრდის ტემპი, გაიზარდა ევროკავშირის საბაზრო წილი შეერთებულ შტატებში. არსებული ტარიფების სერიების წყალობით იზრდება სავაჭრო გაურკვევლობის ინდექსი, რაც გლობალურ ბაზარზე არასტაბილურობას იწვევს. საბოლოო ჯამში გრძელვადიან ეკონომიკურ

დაპირისპირებას ათწლეულების მანძილზე მოპოვებული პროგრესის წაშლა შეუძლია.

მეოთხე საკვლევ კითხვასთან დაკავშირებით ვთვლი, რომ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, როგორც ნატოს საწინააღმდეგო სამხედო გაერთიანება, ჩინეთის რეგიონში ჰეგემონობის მიღწევის ერთ-ერთი მიმართულებაა და ემსახურება აზიიდან ნატოს და აშშ-ს „გაძევებას“. ორგანიზაცია ატარებს აშშ-ს ჰეგემონობისა და გავლენის შემზღუდველი ორგანიზაციის სახეს. ორივე ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები ცენტრალურ აზიაში. თუმცა ასევე ორივე ორგანიზაციის ინტერესებში შედის ავღანეთში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა. ორგანიზაციებს შორის უთანხმოების მიზეზი გახდა ირანის, როგორც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის დამკვირვებელი სახელმწიფო და მეორეს მხრივ, ამერიკის მხრიდან ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოდ შერაცხული ქვეყნის საკითხი. ასევე უკმაყოფილების მიზეზი გახდა ინდოეთის და პაკისტანის აზიურ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხიც. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნატოს და SCO-ის უთანხმოების დაძლევით და თანამშრომლობით გლობალური საფრთხეების ირგვლივ, მრავალი რეგიონალური თუ გლობალური პრობლემის მოგვარება გახდება შესაძლებელი. დაპირისპირებას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია ევრაზიისთვის და მსოფლიოსთვის, ხოლო დაახლოების და თანამშრომლობის პროცესს, გაცილებით მეტი სარგებლის. ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სიტუაციის დასტაბილურება ავღანეთში, სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მომზადება, ტერორიზმის,ექსტრემიზმის, რადიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკოვაჭრობის და ზოგადად რეგიონის სტაბილურობის და მშვიდობის უზრუნველყოფა.

კვლევის შედეგად მტკიცდება გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ საერთაშორისო სისტემა, რომელიც ხასიათდებოდა უნიპოლარულობით ამერიკის ლიდერად ყოფნის პირობებში, დღეს შეიცვალა და დაკარგა ერთპოლუსიანი სახე, ჩინეთის აღზევების გზაზე დგომის პირობებში, აშშ-ს გაუჩნდა კონკურენტი სახელმწიფო, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ჰეგემონობას და გავლენის სფეროების შენარჩუნებას. ჩინეთს აქვს პრეტენზია გახდეს "ჰეგემონი სახელმწიფო" რის გამოც ჩინეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები ხასიათდები რიგი უთანხმოებებით. მსოფლიო აღარ არის უნიპოლარული, ის მიდის მულტიპოლარული ფორმისკენ, სადაც ამერიკასთან ერთად იქნებიან ისეთი ანგარიშგასაწევი სახელმწიფოები, როგორებიცაა პირველ რიგში ჩინეთი, შემდეგ კი სხვა ძლიერი სახელმწიფოები და ორგანიზაციები, რომელთა მნიშნელოვანი ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში დღითიდღე მტკიცდება.

მტკიცდება გამოთქმული მეორე ჰიპოთეზაც, რომ ორი ძლიერი კონკურენტი სახელმწიფოს ურთიერთობები ცალსახად მნიშნელოვანია მსოფლიოსთვის, მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში და მაშინ ,როდესაც სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულნი არიან, სახელმწიფოთა ურთიერთობების მნიშვნელობა გამოჩნა „სავაჭრო ომის" გავლენებით და გეოპოლიტიკური ინტერესებით გამოწვეული უთანხმოებებით, რაც აისახება კონკრეტული რეგიონის სტაბილურობის პრობლემაზე და შემდგომ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამრიგად ორი ლიდერი სახელმწიფოს თანამშრომლობას საგრძნობი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი გლობალური პრობლემების და გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორებიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ბირთვული იარაღის გავრცელება, ეკოლოგიური პრობლემები და ზოგადად, მსოფლიო სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამაშვილი, ბექა. "*ჩინეთ რუსეთის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები (ბრძოლა რეგიონული ჰეგემონობისთვის?)". გამომცემლობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (სამაგისტრო ნაშრომი).* თბილისი-2019.

2. აკობია, ეკა. "*საერთაშორისო ურთიერთობების თეორია".* გამომცემლობა: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი-2006.

3. არუშიძე, პაატა. "*ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივა".* გამომცემლობა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017.

4. ბზეჟინსკი, ზბიგნევ. "*დიდი საჭადდრაკო დაფა". გამომცემლობა*: "არტანუჯი". თბილისი-2014.

5. გეწაძე, ნინო. „აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები:პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიასი(2013).“ *ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი ნ7.* გამომცემლობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2018

6. საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი "აბრეშუმის გზა". "*ჩინეთი ჟამთა სივრცეში".* გამომცემლობა: "მერიდიანი". თბილისი-2007.

7. გორგილაძე, ირაკლი. "*გეოპოლიტიკის საფუძვლები".* გამომცემლობა: "უნივერსალი". თბილისი-2009.

8. გურამიშვილი, მაია. "*ტაივანის საკითხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ ურთიერთობებში".* თბილისი-2009.

9. დავითაშვილი, ზურაბ. „გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში.“ ჟურნალი: *"ჩვენი სამყარო" ნ12.* თბილისი-2016.

10. თურმანიძე, თორნიკე. "*ბუფერული სახელმწიფოები".* გამომცემლობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.(დისერტაცია). თბილისი-2010.

11. კეკელიანი, გიორგი. "*აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი და მისი გავლენა მსოფლიო წესრიგზე კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში".* გამომცემლობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2019.

12. კეკელიანი, გიორგი. „აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი პოლიტიკურ კონტექსტში.“ გამომცემლობა: თსუ-*საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.* თბილისი-2020.

13. კობალაძე, კობა. "*გეოსტრატეგიული კოდის როლი ჩინეთის მსოფლიო გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრად ტრანსპორმაციის საქმეში:რეგიონული და გლობალური დონეები".* გამომცემლობა: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.(დისერტაცია). თბილისი-2018.

14. ლარსენი, ჯოზეფ. "*საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები"სარტყელისა და გზის" გეოპოლიტიკა". გამომცემლობა*:საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი-2017.

15. მაღრაძე, გუგული, მაისაია,ვახტანგ. "*21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი თუ რეალობა-რეგიონული და გლობალური ასპექტები".* გამომცემლობა: "უნივერსალი". თბილისი-2017.

16. მეტრეველი, ნინო, დაჩი ლეფსვერიძე. „მსოფლიოს ახალი წესრიგი-ჩინეთის გლობალური ჰეგემონობის პერსპექტივები.“ *სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებაში,* ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2018.

17. უოტსი, ჯონათან. "*ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში".* გამომცემლობა: "რადარამი". თბილისი.2012.

18. ფიფია, ნიკა. "ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი." გამომცემლობა: *საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი. თბილისი-2019.*

19. შვანგირაძე, ნელი. "*აშშ-ჩინეთის ურთიერთობები: კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევა,მმართველი პოლიტიკური პარტიის მაგალითზე.* გამომცემლობა:თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2018.

20. ჩიტაძე, ნიკა. "*გეოპოლიტიკა".* გამომცემლობა: "უნივერსალი". თბილისი-2011.

21. ჭარაია, ვახტანგ. "საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები." *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.* თბილისი-2017.

22. ჯენტლესონი, ბრუს. "*ამერიკის საგარეო პოლიტიკა არჩევნის დინამიკა 21-საუკუნე".* გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2015.

23. ჯოლია, გურამ. *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა*: ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი-2015.

24. ჯოლოხავა, თათია. "*ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე".* გამომცემლობა: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი-2017.

25. ჰანგთინგტონი, სამუელ. "*ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა". გამომცემლობა*: კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი. თბილისი-2003.

26. ჰეივუდი, ენდრიუ. "*პოლიტიკური იდეოლოგიები".* გამომცემლობა: "ლოგოს პრესი". თბილისი-2004.

27. G. Brooks, Stephen, and William C.Wohlforth. *The Once and Future Superpower.* 2016.

28. McGlinchei, Stephen, Rosie Walters, and christian Scheinpflug. *International Relations Theory.* Briston: E-international relations punlishing. 2017.

29. Mingfu, Liu. *The Chinese Dream:Great Power Thinking and Strategic Posture in the Post-american Era.* tbilisi: Georgian Culture press. 2018.

30. Shneider-Petsinger, Marriane, Jue wang, Yu Jie, and James Crabtree. *Us-China strategic Competition :The Quest for Global Technological Leadership.* London: The Royal Institute of International Affairs. 2019.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

31. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: მეტი ჩართულობა თუ იზოლაცია?" https://www.amerikiskhma.com/a/what-should-us-role-be-on-international-stage/3672556.html (ბოლო ნახვა 10.04.2020)

32. „აშშ ჩინეთს კორონავირუსის კვლევების, მედიკამენტებისა და ვაქცინის შესახებ ინფორმაციის მოპარვის მცდელობაში ადანაშაულებს" https://www.interpressnews.ge/ka/article/599501-ashsh-chinets-koronavirusis-kvlevebis-medikamentebisa-da-vakcinis-shesaxeb-inpormaciis-moparvis-mcdelobashi-adanashaulebs/ (ბოლო ნახვა 15.05.2020)

33. პეტრიაშვილი ა. „ჩინეთის ბრძოლა გლობალური ლიდერობისთვის" https://forbes.ge/news/6452/CineTis-brZola-globaluri-liderobisTvis (ბოლო ნახვა 14.01.2020)

34. „როგორ დაიწყო და ვინ რას ამბობდა კორონა ვირუსის აფეთქებაზე" https://netgazeti.ge/news/443989/ (ბოლო ნახვა 15.05.2020)

35. Duchatel M. Godement F. Kadri L. Shapiro J. Slavkova L. Stanzel A. Tcherneva V. „Eurasian Integration: Caught Between Russia and China". European Council on Foreign Relations.
https://www.ecfr.eu/article/essay_eurasian (ბოლო ნახვა 12.04.2020)

36. Stambulov S.B. Zhukenova A.S. Mondira Dutta „SCO and NATO: comperative evaluation of the activity in the foreign research" https://articlekz.com/en/article/14213 (ბოლო ნახვა 26.04.2020)

37. „U.S. Relation with China", Consil on foreign relations. https://www.cfr.org/timeline/us-relations-china . (ბოლო ნახვა 5.05.2020)

38. Thoms Anahita. "Why trade wars have no winners". https://www.weforum.org/agenda/2019/11/who-benefits-from-a-trade-war/ (ბოლო ნახვა 6.05.2020)